სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნ ა თ ი ა ღ ვ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი

პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან ჯიჯეიშვილი

გორი - 2021

სარჩევი

რეზიუმე----------4

Resume

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა----------6

კვლევის მიზანი----------10

კვლევის ამოცანა----------11

კვლევის საგანი----------12

საკვლევი თემის მეცნიერული სიახლე----------12

კვლევის მეთოდები----------13

ლიტერატურის მიმოხილვა----------13

თავი1. პრეზიდენტთა ინსტიტუტის ევოლუციის ეტაპები საქართველოში-

1.1. პრეზიდენტის ინსტიტუტი საერთაშორისო რეტროსპექტივაში:

აშშ-ს მოდელი----------15

1.2. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება საქართველოში - საქართველოს პირველი პრეზი-დენტი ზვიად გამსახურდია----------21

1.3 საქართველოს მეორე პრეზიდენტი -ედუარდ შევარდნაძის კონტაქტები დასავლეთთან----------31

1.4. საქართველოს მესამე პრეზიდენტი - მიხეილ სააკაშვილი: ვარდების რევოლუცია და დემოკრატიული ინსტიტუციების მშენებლობის დაწყება--41

თავი2. ცვლილებები საპრეზიდენტო ინსტიტუტში - გამოწვევები და პერსპექტივები

2.1. საპარლამენტო რესპუბლიკის ქართული კონტექსტი----------48

2.2. საქართველოსა და გერმანიის პრეზიდენტის ინსტიტუტის ქეისები - შედარებითი ანალიზი----------53

დასკვნა----------62

გამოყენებული ლიტერატურა ----------64

რ ე ზ ი უ მ ე

წარმოდგენილი სამაგისტრო თემა **,,პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში“** წარმოადგენს ქართული პოლიტიკის დღის წესრიგის მნიშვნელოვან პრობლემას - პრეზიდენტის ინსტიტუტის კონცეფციის საკითხების განხილვას ქართული რეალობის კონტექსტში. პრეზიდენტის ძალაუფლების კვლევა და ანალიზი განსაკუთრებით აქტუალურია ქართული სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მით უფრო, რომ ქართულ რეალობაში ამ კუთხით გარკვეული პრობლემები არსებობს.

საკვალიფიკაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, ექვსი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

ნაშრომის შესავალში განსაზღვრულია თემის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის მეცნიერული სიახლე, მეთოდოლოგიური საფუძველი და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. ამავე თავში დისერტანტს მოცემული აქვს ლიტერატურის მიმოხილვა.

ნაშრომში ნაჩვენებია საქართველოში პრეზიდენტების ინსტიტუტის ევოლუციის ეტაპები, საქართველოს პრეზიდენტთა მმართველობის პერიოდის მიღწევები და შეცდომები: მოცემულია საქართველოს მმართველთა მიერ მმართველობის სისტემის განვითარების კუთხით გადადგმული ნაბიჯების პოლიტოლოგიური ანალიზი და ავტორისეული შეფასებები და ინტერპრეტაციები საქართველოს პრეზიდენტების მოღვაწეობის შედეგების მიხედვით - თუ რამდენად შეძლეს მათ ქვეყნის პერმანენტულ გამოწვევებზე პასუხის გაცემა, ადეკვატურად დამცავი მექანიზმებისა და მმართველობითი ინსტიტუტების შექმნა და გლობალური დაპირისპირების პირობებში პოლიტიკის რთულ ლაბირინთებში სწორი ორიენტირება.

ასევე საკვალიფიკაციო ნაშრომში განხილულია საქართველოში საპარლამენტო მმართველობის ფორმატში პრეზიდენტის წინაშე მდგარი დილემები და გამოწვევები;

გაანალიზებულია გერმანიის პრეზიდენტის ინსტიტუტის ქეისი და მოცემულია მისი შედარებითი ანალიზი საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტთან.

Resume

Presented Master topic ,, Presidential Institute in Georgia'' is one of the most important problem of Georgian political agenda- discussion of basic issues of the concept of the Presidential Institute in the context of Georgian reality. It is especially popular and active now to analyze and research the power and authority of the President at the modern stage of State development, while there exist a lot of problems in this regard in Georgia.

Qualification work consists of introduction, two chapters, six sub-chapters, resume and a list of used literature. In the introduction, there is the urgency of the topic defined, established goals and task of the research, the scientific news of the research, methodological bases and its practical meaning. In the said chapter the author of master thesis has given the review of the literature.

In this work, there is shown phases of evolution of Presidential Institute in Georgia, achievements and mistakes of Georgian presidents during their governance: there is given a political analysis of steps made by governors of Georgia in order to improve, develop the system, also author's reviews and interpretations according to the results of activities of Presidents of Georgia- were there able or not to respond the permanent challenges of the country, to create a protective mechanisms and governing institute adequately, to find a right orientation in this difficult maze and in global confrontation conditions.

In this qualification writing, there is discussed existing dilemmas and challenges for president while parliament governance in country. There is analyzed a case of Presidential Institute in Germany and given a comparison analysis to Presidential Institute in Georgia.

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა

ჩემი სამაგისტრო დისერტაციის თემა ,,პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში“ ეხება ქართული პოლიტიკის უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრობლემას - მმართველობითი კონცეფციის თეორიული და ინსტრუმენტალური პრაქტიკის საკითხების განხილვას ქართული რეალობის კონტექსტში. ამ საკითხს საკვანძო ადგილი უჭირავს საქართველოს ინსტიტუციური მოწყობის საქმეში, ამიტომ პრეზიდენტის ინსტიტუტის ევოლუციის ეტაპებისა და საპრეზიდენტო ინსტიტუტის ირგვლივ წარმოებულ თეორიულ დისკურსების პოლიტოლოგიურ ანალიზს, საზოგადოების ჩართულობასა და პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევას მმართველობის სისტემის ცალკეული ასპექტების განხილვის დროს ძალზე დიდი დატვირთვა გააჩნია. ის საშუალებას გვაძლევს უკეთ შევაფასოთ მმართველობით სისტემაში არსებული რისკები. გარკვეულწილად, მას შეუძლია დესტაბილიზაციის საფრთხის აცილებაც ქვეყნისათვის. ამიტომ ამ პროცესების კვლევა - ძიებას უდიდესი პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია ეფექტური და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესის, სახელმწიფო მმართველობის გამართული ფუნქციონირებისა და დემოკრატიის დამკვიდრებისათვის.

პრეზიდენტის უფლებამოსილების ჩარჩოები მთლიანად უკავშირდება მმართველობის კონკრეტულ მოდელს, თანამედროვე დემოკრატიებში არ არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის ერთი კონკრეტული ფორმა. ვერც იმაზე ვისაუბრებთ გადაჭრით, რომელი ფორმა უფრო გამართლებული შეიძლება იყოს. ყველა ქვეყანა და მისი მოსახლეობა სრულიად განსხვავებული ორგანიზმებია და ყველას საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე ირჩევს მისთვის მისაღებ პოლიტიკურ კურსს. გვაქვს მსოფლიოს მაგალითზე უამრავი წარმატებული ქვეყანა სადაც სრულიად

განსხვავებული მართველობის ფორმებია. ამის მიუხედავად ვერ ვიტყვით რომელიმე უფრო დემოკრატიული ან უფრო ძლიერია. მაგალითად ამერიკა საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანაა, რომელიც დემოკრატიისა და ძლიერი სახელმწიფოს სიმბოლოდ მიიჩნევა მსოფლიოში. აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ გერმანია სრულიად განსხვავებული მმართველობის მოდელით, თუმცა ისიც სიძლიერითა და დემოკრატიით არანაკლებადაა განვითარებული თუ შედარებას მოვახდენთ ამერიკასთან. რეალურად მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის პრეზიდენტის როლის განსაზღვრა სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

რა დოზით უნდა გააჩნდეს პრეზიდენტს ძალაუფლება? ვინ უნდა ირჩევდეს რეალურად პრეზიდენტს? ვინ უნდა იყოს განმსაზღვრელი პრეზიდენტისთვის მინიჭელული უფლებების? როგორ უნდა გაკონტროლდეს პრეზიდენტის გადაწყვეტილებები ამ და სხვა შეკითხვებს რეალურად ყველა ქვეყანა საკუთარი მმართველობიდან გამომდინარე უპასუხებს. მაგრამ როგორია საქართველოს რეალობა საიდან მოვდივართ და სად მივდივართ? რომელი პრეზიდენტის უფლებები იყო უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოსთან თანხვედრაში, ან იქნებ სწორედაც რომ სწორი არჩევანი გააკეთა საქართველომ როდესაც პრეზიდენტის უფლებები მინიმუმამდე დაიყვანა, როდესაც საპარლამენტო მმართველოვობის სისტემაზე გადასვლა არჩია განვითარების ახალი ეტაპის დასაწყებად?!

ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე უხვად გვაქვს მაგალითები თითოეული ყოფილი პრეზიდენტების შემთხვევაში, რამდენჯერ ჰქონდა ადგილი ძალაუფლების გადაჭარბებას, საკუთრი ინტერესებისა თუ შეხედულებებისამებრ მოქმედებას, ერთპიროვნული მმართველობის ძლიერ სურვილს. მაგრამ საპარლამენტო მმართელობის დროსაც კი პრემიერ მინისტრს შესაძლებელია მსგავსი ამბიციები გაუჩნდეს და სრულიად არაა გამორიცხული პირიქით უარესი ერპიროვნული მმართვლობა მივიღოთ, თუ სწორად არ იქნა გადანაწილებული უფლებები და ვალდებულებები უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოების მიერ.

საქართველო დღესაც ჯერ კიდევ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესშია. ამიტომ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შესაქმნელად, უმნიშვნელოვანესია გამოკვლეულ იქნას მმართველობის პროცესში სახელმწიფო კონტროლის მექანიზმების საერთაშორისო გამოცდილება. იმ ქვეყნების მაგალითზე სწავლა ვინც უკვე გაიარა ეს გზა და საკმაოდ წარმატებულადაც. რეალურად თუ შევხედავთ საქართველომ 1992 წლიდან მოყოლებული ვერ შეძლო ვერცერთი ძლიერი ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ხელისუფლების დანაწილების კუთხით კი მუდმივად სრული დისბალანსი ვლინდებოდა ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ, შესაბამისი პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით. მსგავსი პროცესები დამახასიათებელია ტრანსფორმირებადი ქვეყნისათვის, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმიდან გამოსვლასა და დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლას ცდილობენ. გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა. აქაც უამრავი პრობლემა იყო დაგროვილი: ძალაუფლების პერსონალიზაცია, ხელისუფლების დისბალანსის დარღვევა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და ა.შ.

პრეზიდენტების ცვლილებასთან ერთად დაწყებული ზვიად გამსახურდიის მმართველობიდან დამთავრებული დღევანდელი პრეზიდენტით სალომე ზურაბიშვილით, საქართველო სრულიად სხვადასხვა რეალობაში არსებობს.მიუხედავად ამ გარემოებისა, ვფიქრობ, საქართველოს თითოეულმა პრეზიდტმა შეძლო მეტ-ნაკლებად შემდგარი პოლიტიკური სისტემის - მისი ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების, ადამიანური და სოციალური კაპიტალის შექმნის პროცესში თავიანთი წვლილის შეტანა.

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ შეძლო ახალი ტიპის პოლიტიკური სისტემების, კერძოდ, მრავალპარტიული სისტმის, თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობისა და თავისუფალი მედიის საფუძვლების შექმნა და ამ ახალი ელემენტების შემოტანით პოლიტიკურ სისტემაში შეძლო ქართული პოლიტიკური კულტურის შეცვლა.

საქართველოს მეორე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მმართველობის სისტემის ფუნქციონირების კუთხით შეძლო ისეთი ახალი ტიპის სისტემების წარმოქმნა, როგორებიც იყო: სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სამოქალაქო ინსტიტუტების ჩამოყალიბება; დამოუკიდებელი საფინანსო - ფულადი პოლიტიკა და დამოუკიდებელი მეწარმეობა.

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური სისტემების შექმნის რაოდენობრივი მაჩვენებლებით, ჩემი აზრით, აშკარად ლიდერობს მის წინამორბედებთან შედარებით: მან შექმნა 2003-2006 წლებში იმდენი ახალი სისტემა, რამდენიც მისმა წინამორბედებმა თავ-თავისი მმართველობის პერიოდში და შეძლო სახელმწიფოს რეალური ფუნქციობის რეჟიმში გადაყვანა. კერძოდ, სააკაშვილმა შექმნა:თვითმმართველობის სისტემა; დამოუკიდებელი სამხედრო ძალების სისტემა და განათლების დამოუკიდებელი სისტემა.

საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ არაფორმალური მმართველობის პირობებში მოახერხა პოლიტიკური სისტემისათვის დემოკრატიული შეფერილობის მიცემა კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე საპარლამენტო მოწყობაზე გადასვლის გზით.

ასე, რომ ზვიად გამსახურდიამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას ჩაუყარა საფუძველი, ედუაერდ შევარდაძემ - ინსტიტუციური დიზაინერის როლი შეასრულა, მიხეილ სააკაშვილმა - სახელმწიფოებრიობა სისტემაში მოიყვანა და ფუნქციურად გამართა, ხოლო დღევანდელმა ხელისუფლებამ მოახერხა პოლიტიკური სისტემისათვის დემოკრატიული შეფერილობის მიცემა კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე საპარლამენტო მოწყობაზე გადასვლის გზით. მაგრამ როგორც კი პრეზიდენტები იწყებდნენ მათ მიერ დანერგილი სისტემების დამშლელ აქტივობებს, ხდებოდა სისტემურ დონეზე ძლიერი მოწინააღმდეგის გაჩენა, მმართველობას უპირისპირდებოდა ის მხარე, რომლებიც მონაწილეობდა კონკრეტული სისტემის შექმნაში, რასაც მმართველობების იძულებით დასრულება მისდევდა - პირველ ორ

შემთხვევაში გადატრიალებისა და რევოლუციის გზით, ხოლო მესამე შემთხვევაში - საპარლამენტო გზით.

თითოეული მმართველის მოღვაწეობის მიღწევების განხილვის პარალელურად ნაშრომში შევეცდებით წარმოვაჩინოთ ის დილემები და გამოწვევები, რომლებიც მოუგვარებელ პრობლემებად რჩება საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე. თუმცა ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც არ შემიძლია არ შევეხო რომელიც ყველა მმართველის მმართველობის დროს გვქონდა და ყოველდღიურად უფრო დიდ პრობლემად გვევლინება საქართველოს როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის არსებობის უახლეს ისტორიაში, ესაა ტერიტორიული მთლიანობა. არამც თუ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს 2008 წლის აგვისტოს ღია ომი და ტერიტორიების მასიური მითვისება რუსეთის სახელმწოფოს მხრიდან რჩება მოუგვარებელ პრობლემად, არამედ დღემდე გრძელდება ახალი მთავრობის ხელშიც კი ოკუპანტის თავხედური ქმედებები, საზღვრების მუდმივი გადმოწევა, დარღვევა საზღვრისპირას მცხოვრები მოსახლეობის უფლებების და უამრავი მსგავსი კანონდარღვევა, რომელიც ვერცერთი მმართელობის დროს ვერ იქნა საქართელოს მთავრობის მხრიდან საერთაშორისო დონეზე მოგვარებული.

ზემოჩამოთვლილი პრობლემების კვლევა და ანალიზი: საქართველოს მმართველთა მიღწევებისა და შეცდომების დინამიკაში განხილვა, საქართველოს პრეზიდენტთა მმართველობის პერიოდის პოლიტიკური რეჟიმების კატეგორიზაცია, ხელისუფლების შტოთა დაბალანსებისა და საქართველოში საპარლამენტო მმართველობის მოდელების წინაშე მდგარი დილემებისა და გამოწვევების წარმოჩენა.

კვლევის მიზანი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაზე, ინტერნეტ-რესურსებსა და ასევე სხვა საინფორმაციო წყაროებზე

დაყრდნობით საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო მმართველობითი სისტემის თავისებურებებისა და სპეციფიკის გამოვლენა; განხილვა ამერიკისა და გერმანიის აღმასრულებელ ხელისუფლებათა მოწყობის თავისებურებათა, ურთიერთშედარება და ანალიზი საქართველოსთან მიმართებაში. აღნიშნული შესაძლებლობას მოგვცემს გამოვავლინოთ თუ რა ნიშან-თვისებები ახასიათებს ცალკეულ ქვეყნებს, რისი გადმოტანა და მორგება შეგვიძლია ქართულ რეალობასთან, რომელი მოდელი რისი მიხედვით იძლევა უფრო მეტი წარმატების შესაძლებლობას. ნაშრომში უმეტესად ყურადღება მიექცევა საქართველოში პოლიტიკურ ხელისუფლებათა კონსტიტუციურ მოწყობასა და ანალიზს, თუ რა განსხვავებაა და რით გამოირჩევა ქართული სახელმწიფო მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმებისაგან, სად ვართ დღეს და სად შეგვიძლია ვიყოთ უახლოეს მომავალში სწორი კურსის არჩევის შმთხვევაში.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია აგრეთვე კვლევის ფარგლებში სახელმწიფოებრივი მმართველობის საფუძვლებისა და პოლიტიკურ პრაქტიკას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების ჭრილში განხილვა და სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემოთავაზება.

კვლევის ამოცანა

სამაგისტრო ნაშრომის ამოცანაა კი გახლავთ პასუხი გავცეთ შემდეგ უმნიშვნელოვანეს კითხვებს: საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო რომელი სისტემაა უფრო ოპტიმალური საქართველოსთვის, რომელი სისტემა უფრო მორგებული იქნება ისეთი სახელმწიფოსთვის როგორიც საქართელოა თავისი წარსულიდან, მენტალობიდან და მოსახლეობების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. ნაშრომში შევეცდები განვიხილო სრულყოფილად ამერიკისა და გერმანიის მაგალითზე ორი განსხვავებული მმართველობის მოდელი და გავაკეთო ლოგიკური დასკვნები, რომელი სახელმწიფოდან რისი გადმოტანა შეგვიძლია სწოლი პოლიტიკური კურსის ასარჩევად და ქვეყნის განვითარების დასაჩქარებლად. კვლევის ამოცანაა ასევე პასუხების გაცემა უფრო მარტივი გახდეს კითხვაზე, რამდენად სწორი

გადაწყვეტილებაა საქართველოს დღევანდელობიდან გამომდინარე პრეზიდენტის უფლებების ასეთი დაკნინება და პრემიერ მინისტრისათვის ასევე ამხელა ძალაუფლების მინიჭება. და ბოლოს სამაგისტრო ნაშრომის ამოცანაა ნაწილობრივ მაინც გაეცეს პასუხი, რამდენად რეალურ სურვილს წარმოადგენს მოსახლეობისათვის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ პრეზიდენტი არ აირჩეოდეს მათი ხმების საფუძველზე.

კვლევის საგანი

სამაგისტრო კვლევის საგანს წარმოადგენს ძალაუფლების განაწილების როგორი მოდეილი იქნება საქართველოსთის ყველაზე ოპტიმალური ამერიკისა და გერმანიის მაგალითებზე დაყრდნობით. ორივე ქვეყნის დადებითი და მომგებიანი მმართველობის ბერკეტების საქართველოს რეალობაზე მორგების მცდელობა. ასევე თითოეული სახელმწიფოს კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებების გამოვლენა და ამ კვლევის გამოყენებით ქართული მმართველობის სისტემის ანალიზი.

საკვლევი თემის მეცნიერული სიახლე

სამაგისრო ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლე იქნება ის, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ კომპლექსურად იქნება დამუშავებული რიგი პრობლემებისა, მათ შორის:

-განხილული იქნება პოლიტიკური მმართველობის მოდელების განითარების ქართული და საერთაშორისო კონტექსტი; წარმოდგენილი იქნება პრეზიდენტის ინსტიტუტების შედარებითი კვლევითი ანალიზი აშშ-სა და საქართველოში;

-მოცემული იქნება საქართველოს მმართველთა მიერ მმართველობის სისტემის განვითარების კუთხით გადადგმული ნაბიჯების პოლიტოლოგიური ანალიზი, მათი მიღწევები და შეცდომები, საქართველოს პრეზიდენტთა მმართველობის პერიოდის პოლიტიკური რეჟიმების კატეგორიზაცია,

-გამოოვლეული იქნება ხელისუფლების შტოთა დაბალანსებისა და საქართველოში საპარლამენტო მმართველობის მოდელების წინაშე მდგარი დილემები და გამოწვევები; პრეზიდენტის უფლებამოსილების საზღვრებთან დაკავშირებული საკითხის შესახებ საპრეზიდენტო ინსტიტუტის ირგვლივ წარმოებული თეორიული დისკურსები;

პრეზიდენტთა არჩევის წესის თავისებურებანი საპარლამეტო სისტემებში და ის გარკვეული დილემები და საფრთხეები, რომლებიც არსებობს კონკრეტული არჩევნების წესთან დაკავშირებით ავტორიტარიზმის მიმართულებით, იმ შემთხვევაში თუ არ იქნება გათვალისწინებული ქვეყნის თავისებურებანი, გამოცდილება და არსებული პოლიტიკური მოცემულობა დემოკრატიის ხარისხის თვალსაზრისით; ასევე დაწვრილებით იქნება გაანალიზებული გერმანიისა და საქართველოს პრეზიდენტთა ფუნქციებისა და უფლებამოსილებების მსგავსებები და განსხვავებები.

კვლევის მეთოდები

სამაგისტრო ნაშრომის კვლევა თემის შინაარსიდან და კონტექსტიდან გამომდინარე დაეყრდნობა პოლიტიკურ მეცნიერებებში გავრცელებულ რამდენიმე მეთოდს, ძირითადად შედარებითს ვინაიდან საქართველოს პოლიტიკური წყობიდან და არსებული პრობლემებიდან გამომდინარე შედარების მეთოდი ყველაზე ნათლად დაგვანახვებს გამოცდილი ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით რეალურ პრობლემებს. შედარებითი კვლევისთვის გამოვიყენებთ ისეთ ქვეყნებს ვინც საქართველოს მსგავსი გზა დიდი ხნის წინ გაიარა და დღესდღეისობით წარმატებული ქვეყანა ააშენა დემოკრატიული თუ ფინანსური თვალსაზრისით. თუმცა მხოლოდ აღნიშნული კვლევის მეთოდით არ შემოვიფარგლები, გამოვიყენებ მეტი ინფორმაციულობისა და მრავალფეროვნებისათვის კვლევის ისეთ მეთოდებს რომელიცაა; ისტორიულ-შემეცნებითი, ლოგიკური, და სხა.

ლიტერატურის მიმოხილვა

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პოლიტიკური სისტემის, და კერძოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხების პოლიტოლოგიური ანალიზი ნაკლებად არის წარმოდგენილი, მითუფრო, როდესაც საქმე ეხება თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ პრაქტიკას. აღნიშნულ საკითხზე წყაროთმცოდნეობის ბაზას წარმოადგენს საკანონმდებლო აქტები, 1995 წლების კონსტიტუციები მასში განხორციელებული ცვლილებებითა და რიგი სამეცნიერო ხასიათის ქართველ და

უცხოელ მეცნიერთა სტატიები და მონოგრაფიები, კონკრეტულად, პროფესორების: ბ-ნ გ.ხუბუას, ლ. ალექსიძის , მ. ლორთქიფანიძის, შ. ნადირაშვილის, მ. მაცაბერიძის, ზ. პაპასკირის, ბროსე ედიშერ -ხოშტარიას, ე.მენაბდიშვილის, ო. გოგიაშვილის, გ, გაჩეჩილაძის, ე. ბატიაშვილის, ე. გვენეტაძის, ა. სონღულაშვილის, ვ. შუბითიძის, ქ. ჯიჯეიშვილის; უცხოელი მეცნიერების - სორბონისა და ბრიუსელის უნივერსიტეტების პროფესორების ფილიპ ლოვოს, ს. ჯონსისა და სხვ. მეცნიერებისა და ექსპერტების შრომები. ასევე გამოყენებულ იქნება პერიოდული პრესა და ინტერნეტ მასალები.

2008 წელს დაიბეჭდა პროფესორ იგორ კვესელავას წიგნის „საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკების'' მე-2 ტომი „ზვიად გამსახურდია - დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე," რომელშიც დეტალურად არის განხილული საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობა. წიგნში გაშუქებულია მე-20 საუკუნის ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოვლენები. ასევე ჩვენთვის საინტერესო საკითხებია განხილული ი. კვესელავას 2014 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „საქართველოს სახელმწიფოებრივ–პოლიტიკური პარადიგმები და დილემები."

2009 წელს, გამოქვეყნდა ქეთი ჯიჯეიშვილის მონოგრაფია - „შტრიხები საქართველოს პრეზიდენტთა პოლიტიკური პორტრეტისათვის." ნაშრომში შემოთავაზებულია მონახაზები საქართველოს სამი პრეზიდენტის პოლიტიკური პორტრეტისათვის თითოეული მათგანის მორალური თუ ინტელექტუალური ავლადიდების გათვალისწინებით და ყურადღება გამახვილებულია მთელ რიგ უმწვავეს პრობლემებზე, რომელთა წინაშეც იმყოფებოდნენ საქართველოს პრეზიდენტები.

საინტერესოა პროფესორ სტივენ ჯონსის 2012 წელს გამოცემული სახელმძღვანელო,"საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ", რომელშიც 20 წლის მანძილზე ქვეყანაში მიმდინარე

პოლიტიკური პროცესები, სახალხო მოძრაობები სიღრმისეულადაა განხილული და ამ პროცესების მრავალმხრივი შეფასებაა წარმოდგენილი.

2017 წელს გამოვიდა რევაზ გაჩეჩილაძის 702 გვერდიანი მონოგრაფია „საქართველო მსოფლიო კონტექსტში," სადაც განხილულია ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვეული ასპექტები. კერძოდ, ნაშრომში განხილულია მსოფლიო კონტექსტში საქართველოს ახლო წარსული და საქართველოს პრეზიდენტთა მოღვაწეობის შესახებ ავტორისეული ხედვებია მოცემული.

ნაშრომში გამოვიყენეთ ასევე პერიოდული პრესა და ინტერნეტ - რესურსები.

ბუნებრივია, საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ამომწურავი მიმოხილვა რთულია, ვინაიდან იგი ყოველდღიურად ივსება და ახლდება. ამიტომ ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ იმ ნაშრომებზე შევჩერებულიყავით, რომელთა ანალიზიც, ჩვენი აზრით, ასე თუ ისე მეტ ნაკლებად სრული სურათის შექმნის საშუალებას იძლევა.

თავი პირველი

პრეზიდენტთა ინსტიტუტის ევოლუციის ეტაპები საქართველოში

1.1. პრეზიდენტის ინსტიტუტი საერთაშორისო რეტროსპექტივაში: აშშ-ს მოდელი

პირველად პრეზიდენტის თანამდებობა აშშ-ში შეიქმნა. მას შემდეგ ბევრმა ქვეყანამ გადაიღო მმართველობი ეს მოდელი, თუმცა ყველა მათგანი ამერიკული საპრეზიდენტო სისტემი სთავისებური ინტერპრეტაცია აღმოჩნდა, რომელმაც განსხვავებული

მახასიათებლები გამოავლინა. აშშ-ში არსებული სისტემა ამ მხრივ პრაქტიკულად უნიკალურია. აშშ-ის კონსტიტუციის შექმნამდე, რომელმაც პრეზიდენტის ინსტიტუტი შემოიღო, არ არსებობდა სახელმწიფო მეთაურის თანამდებობა. „კონფედერაციის მუხლები", რომელიც დამოუკიდებლობი გამოცხადებიდან ერთწელზე მეტი ხნის შემდეგ, 1777 წლის 15 ნოემბერს, მიიღეს, არ ითვალისწინებდ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობას. 10 წლის შემდეგ, 1787 წლის 17 სექტემბერს შეიქმნა მსოფლიოში პირველი დაწერილი, სისტემატიზირებული კონსტიტუცია, რომელმაც მმართველობის საპრეზიდენტო სისტემა დაადგინა. 1789 წლიდან, მასშემდეგ, რაც მისი რატიფიცირება ყველა შტატმა მოახდინა, აღნიშნული კონსტიტუცია ძალაში შევიდა. კონსტიტუციას საფუძვლად დაედო ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და ინტელექტუალებს - ალექსანდერ ჰამილტონის (51 სტატიის ავტორის), ჯეიმს მედისონის (29 სტატიის ავტორის), ჯონ ჯეისსა (5 სტატიის ავტორის) და სხვათა შორისხანგრძლივი დისკურსის შედეგად გამარჯვებული მედისონის პროექტი საპრეზიდენტო მოდელის შესახებ. კონსტიტუციის მიხედვით, აშშ-ის პრეზიდენტი არის, როგორც სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ისე აღმასრულებელი ხელისუფლები სხელმძღვანელი. პრეზიდენტის ეს ორმაგი ფუნქცია წარმოადგენს საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემების მთავარ განმასხვავებელს. პრეზიდენტის აღმასრულებელი ფუნქცია გამოიხატება "კანონების კეთილსინდისიერად აღსრულებაში". ის ხელმძღვანელობს დეპარტამენტებს და უფლებამოსილია, ზედამხედველობა გაუწიოს მათ მუშაობას. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტს არ აქვს ომის გამოცხადების უფლება. აშშ-ისკონსტიტუცია ამ უფლებას კონგრესს ანიჭებს. ამით სამხედრო ძალაუფლება დაბალანსებულია პრეზიდენტსა და კონგრესს შორის.

აშშ-ის საპრეზიდენტო სისტემა ეფუძნება ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების (Checks and Balances) პრინციპს. თანამედროვე დასავლურ კონსტიტუციონალიზმში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთგვარ ქვესახეობად და ცენტრალურ კონცეფციად აღიქმება.[1] ეს

[1]Schulze-Fielitz, in: Dreier, Horst (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 2. Aufl., B. II, Artikel 20-82, Tübingen 2006

ფილოსოფიური ხედვა ასახავს აშშ-ის კონსტიტუციის მამების შიშს, რომ არ მომხდარიყო ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი პირის ხელში. პრეზიდენტი შეზღუდულია უფლებამოსილებების განხორციელებაში კონგრესისა და სასამართლოს მიერ. ხელისუფლების ეს სამი რგოლი ერთმანეთს აკონტროლებს, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ძალაუფლების კონცენტრაციას რომელიმე ერთი შტოს ხელში. ეს პრინციპი უკავშირდება ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპსაც .უფლებამოსილებები ნაწილდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის. ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების სისტემა კი უზრუნველყოფს უფლებამოსილებების ერთი შტოს გარშემო თავმოყრისაგან თავის აცილებას.

ამერიკაში მაქსიმალურად დეტალურად შეიმუშავეს პრეზიდენტის მოდელი. დეკლარაციით ქვეყნის პრეზიდენტობის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს: ახლო მხედველს; სმის ან ნარკოტიკების მოყვარულს; ცუდი კბილებისა და უსიამოვნო ღიმილის მქონე პიროვნებას; შესამჩნეველ ტანდაბალს; შესამჩნევი ფიზიკური ნაკლის მქონეს; წვერმოშვებულს; კოსმეტიკურ ოპერაცია გამოვლილს; პასუხისგებაში ნამყოფ, კრიმინალური წარსულის პირს; უცოლშვილო, უქმარშვილოს; პროტესტანტული სარწმუნოების ფერადკანიანს და ბოლოს უბრალოდ, ჯანმრთელობა შერყეულ ადამიანს.[2]

კონსტიტუციამ აშშ-ს პოლიტიკურ პრაქტიკაში წარმატებულად იმუშავა, რაშიც ლომის წილი მიუძღვის აშშ-ს პირველ პრეზიდენტს ჯორჯ ვაშინგტონს, რომელმაც თავისი პიროვნული ქარიზმისა თუ სამხედრო განსწავლულობის მეშვეობით შეძლო ხელი შეეწყო იმ ტრადიციებისა და ინსტიტუტების ფორმირებისათვის, რომელნიც საჭირონი იყვნენ სტაბილური, ლეგიტიმური და ეფექტური დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებისათვის. ვაშინგტონი შეერთებულ შტატებს მისი იდენტურობის ფორმირებასა და კონკრეტული საამომრჩევლო დემოკრატიის ინსტიტუციონალიზებაში დაეხმარა. ჯორჯ ვაშინგტონმა უარი თქვა ყველანაირ ანაზღაურებაზე, ბრძოლის პერიოდში ცხოვრობდა ჯარისკაცებთან ერთად და არ კადრულობდა თუნდაც ყველაზე ხანმოკლე ვიზიტს საკუთარ ფერმაში - მაუნტ ვერნოში, რათა საკუთარი ჯარისათვის პიროვნული სისუსტის მაგალითი არ

[2]ვ. ჭანუყვაძე, პოლიტოლოგიური დიალოგი, თბ., 1998., გვ. 39-41

ეჩვენებინა. ჯეფერსონის სიტყვებით, ვაშინგტონი ,,გულდასმით იცავდა კანონს მისი მთლიანი სამხედრო თუ სამოქალაქო კარიერის განმავლობაში“ და ,,წარმოადგენდა მოდელს, რომლის მაგვარ მაგალითსაც ისტორია ვერ გვთავაზობს“. იგივე გაიმეორა ამერიკელმა მეცნიერმა სიმონ მარტინ ლიპსეტმაც - ,,ვაშინგტონი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვის გარეშეც ისტორია ძლიერ განსხვავებული იქნებოდა“.

აშშ-ს მოდელი მიმზიდველი აღმოჩნდა როგორც ლათინური ამერიკის, ასევე ევროპის ,,ძველი” ქვეყნებისათვისაც. პრეზიდენტები საკუთარ იმიჯს შეგნებულად და მათოდურად თხზავდნენ დიდი ვირჯინიელი თარგზე, მაგრამ ამ ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე პრეზიდენტის ინსტიტუტმა ლათინური ამერიკის ქვეყნებში აშშ-საგან გამსხვავებული ფორმა მიიღო. აშშ-ს გარდა მხოლოდ ჩილემ მოახერხა საპრეზიდენტო მმართველობის საუკუნენახევარი უწყვეტობის სტაბილური შენარჩუნება, თუმცა, აქაც 1970-იან წლებში დემოკრატია განსაცდელში აღმოჩნდა და დაემხო. სამხრეთ ამერიკის დანარჩენმა და აფრიკის იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც იგი გადაიღეს, შეცვალეს შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმები, რომლებიც ამ ფორმას დემოკრატიულად აქცევდა (პრეზიდენტისთვის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების შეზღუდვა, პარლამენტის დათხოვნის აკრძალვა, საპარალამენტო კონტროლი და ა.შ.) და ტიპური ავტორიტარიზმი მიიღეს.

ფრანგული მოდელი, რომელთან გაიგივების მცდელობაც ხშირად იყო, დე გოლის გენიალური მოფიქრებაა, რომელშიც მას იურისტთა ჯგუფი ეხმარებდა და უშუალოდ საფრანგეთისთვის შეიქმნა. არავის ეპარება ეჭვი საფრანგეთის რესპუბლიკის დემოკრატიულობის ხარისხში, თუმცა მსგავსი მმართველობის არსებობას „იბრალებს“ რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და ძალიან ბევრი „საეჭვოდ დემოკრატიული“ სახელმწიფო. მოხდა სახელმწიფო რეჟიმის ფორმალური ნიშნების გადატანა, თუმცა ძალაუფლების გამიჯვნის უმთავრესი ელემენტები შეგნებულად ყურადღების მიღმა დარჩა, რამაც სრულებით შეცვალა პირვანდელი, ფრანგული მოდელი.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში მმართველობის რამდენიმე ათეული ფორმაა თავისებური ვარიაციებით, რა თქმა უნდა, მათი სათავე კლასიკური მოდელებიდან

იღებს, თუმცა წლების განმავლობაში განსხვავებულმა მიდგომებმა და პოლიტიკურმა პრაქტიკამ იმდენად შეცვალა თითოეული მათგანი, რომ შეუძლებელია საუბარი რომელიმე მოდელის ერთადერთობასა და უცდომელობაზე, თუმცა უცვლელია მთავარი პრინციპი, რომელიც ყოველთვის განაპირობებდა ამა თუ იმ სახელმწიფო მმართველობის შეფასებას - ძალაუფლების გამიჯვნა შეკავება - გაწონასწორების პრინციპით. სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს, თუ რა მმართველობაა სახელმწიფოში და სრულებით არარელევანტურია, რა წერია ფორმალურად კონსტიტუციასა თუ კანონმდებლობაში, უმთავრესია, როგორც ხდება მისი აღსრულება. კონსტიტუციით დადგენილი საპარლამენტო და საპრეზიდენტო მმართველობის ფორმები ყოველთვის ასიმეტრიულია, რაც ძირითადად საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების უფლებრივ დისბალანსში გამოიხატება, ერთ-ერთი მათგანის: საპარლამენტოში – პარლამენტის, საპრეზიდენტოში – პრეზიდენტის, სასარგებლოდ. შერეული მმართველობის სისტემის შემთხვევაში დისბალანსი შეიძლება არასტაბილური იყოს, ხოლო წონასწორობის დამრღვევი ფაქტორი პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის ცვლილება, პოლიტიკურ მოთამაშეთა ნება, წარსული, პოლიტიკური რესურსი და ზოგიერთი სხვა ფაქტორი აღმოჩნდეს. შესაბამისად, პრაქტიკულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში პრეზიდენტი და მისი გუნდი (მაგ. მისი პარტია, მრჩევლები, აპარატი, მოკავშირე ელიტები და ა.შ.) წარმოადგენს ძალაუფლების ძირითად კონგლომერატს, მაშინ როდესაც საპარლამენტო სისტემის პირობებში ძალაუფლება ეკუთვნის იმ პარტიულ ჯგუფს (ან ჯგუფებს), რომელიც იმარჯვებს არჩევნებში, იძენს ფართო სოციალურ ლეგიტიმაციას და საპარლამენტო პოლიტიკის მეშვეობით აყალიბებს მთავრობას და ამით იღებს რეალურ ძალაუფლებას, შესაბამისად, დასავლურ ევროპული საპარლამენტო დემოკრატიის პირობებში პრეზიდენტის როლი არის სუსტი, ცერემონიალური და სიმბოლური განზომილების მქონე. ამის ძირითადი მიზეზი დასავლეთის რთული პოლიტიკური წარსულია, როდესაც ქარიზმატული ლიდერების მმართველობამ გამოიწვია პოლიტიკური ძალადობა, დრამატული კონფლიქტები და დიდი სოციალური კატასტროფები. ამიტომ ლოგიკურია ისიც, რომ დასავლეთ ევროპის განვითარებული დემოკრატიები ცდილობენ შეინარჩუნონ

პრეზიდენტის სუსტი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში, რათა ძალაუფლება არ იქნას თავმოყრილი ერთი ლიდერის ხელში და, შესაბამისად, პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი, თუმცაღა არიან გამონაკლისები ევროპულ დემოკრატიებშიც - ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს პრეზიდენტის ინსტიტუტიც. იმ ქვეყნებში, რომელთა მმართველობის ფორმა საპარლამენტო სისტემაა, პრეზიდენტი სიმბოლური ფუნქციის მატარებელია და არ განსაზღვრავს პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგს და, შესაბამისად, ვერ დომინირებს ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზე. თუმცა არის გარკვეული შემთხვევები, როცა ასეთი სისტემის პირობებში პრეზიდენტებს აქვთ ძალაუფლების კონსოლიდაციის მცდელობა, როგორც, მაგალითად პოლონეთსა და ჩეხეთში, სადაც პრეზიდენტის როლი, ფუნქცია და არჩევის წესი განსხვავებულადაა ორგანიზებული, რასაც დაწვრილებით შევეხებით მომდევნო თავში.

დებატები საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკების შედარებით დემოკრატიულ ხარისხზე თითქმი ნახევარი საუკუნეა პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს თემას წარმოადგენს. ამ საკითხისადმი ინტერესი საბჭოთ აკავშირის დაშლის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ყოფილი კომუნისტური 74 ქვეყნიდან საკმაოდ დიდმა ჯგუფმა საპრეზიდენტო მოდელი აირჩია. უფრო ზუსტად, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების უმრავლესობამ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოკლებით, საპრეზიდენტო მმართველობას დაუჭირა მხარი, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური სახელმწიფოების უმრავლესობამ საპარლამენტო მოდელი ამჯობინა. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა პოლიტოლოგების მოსაზრების სისწორე: აღმოსავლეთ ევროპი სქვეყნებმა წარმატებით გაიარეს დემოკრატიზაციის პროცესი, ხოლო საპრეზიდენტო რესპუბლიკებიან დიქტატურად ჩამოყალიბდნენ (ცენტრალურიაზიის 4 რესპუბლიკა, რუსეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი) ან დემოკრატიზაცია ვერ დაასრულეს (უკრაინა, სომხეთი). პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების არჩევანი, რიგ შემთხვევაში, გამოწვეული იყო ახლად შექმნილი ქვეყნების ერთიანობის შენარჩუნების მოტივაციით. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი მთელი ქვეყნის მიერ არჩეულ მმართველად გვევლინება, და თუ მის ხელში ლეგალურად თავს იყრის ძირითადი

პოლიტიკური პრეროგატივები, სეპარატიზმის ანირედენტიზმის გამოვლენა უფრო ძნელი ხდება. ამავდროულად, ისეთ რესპუბლიკებში სადაც დისიდენტურმა მოძრაობამ დიდი როლი შეასრულა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში და შეძლო კომუნისტური ნომენკლატურის ჩანაცვლება ხელისუფლებაში, პრეზიდენტის ინსტიტუტი ლოგიკურად გამომდინარეობდა ამ მოძრაობის წარმატების განმაპირობებელი ძირითადი მექანიზმიდან და ღირებულებიდან, რომელსაც ერთიანობა წარმოადგენდა. პოლიტიკური კლიმატისა და, შესაბამისად, ქართული პოლიტიკური დღის წესრიგის შეცვლასთან ერთად პოლიტიკოსები დღეს ისევ დაუბრუნდნენ ამ პრობლემას და საკონსტიტუციო ცვლილებების ახალი რედაქციის შედეგად პოლიტიკური კურსი საპარლამენტო მოდელისაკენ აიღეს.

1.2. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება საქართველოში - საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს, 1991 წელს 26 მაისს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, saqarTveloSi, istoriaSi pirvelad, სწორედ მასზე გათვლით იქნა SemoRebulი prezidentis instituti, romelic sayovelTao da pirdapiri arCevnebis gziT airCeoda, ხოლო ზვიად გამსახურდია გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

თუ შევაჯამებთ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მმართველობის შეცდომებს და მიღწევწებე, შეიძლებ ვთქვათ, რომ **საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას** მმართველობის დროს სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტიტუტების საჭიროების პრობლემა იდგა. მას მოღვაწეობა და საქართველოს პოლიტიკური სისტემის შენება მოუწია ძალზე მოუწია ძალზე რთულ ვითარებაში: პირველი, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის მთავარი განმსაზღვრელი არ არსებობდა და მეორეც, პოლიტიკური სისტემის შენება მიმდინარეობდა ძალზე არასახარბიელო გარემო პირობებში, როდესაც რუსეთის მხრიდან იყო ნეგატიური გავლენა, ხოლო აშშ-სა და დასავლეთ ევროპის მხრიდან, ფაქტობრივად, ნულოვანი ინტერესი. მიუხედავად ამ გარმოებებისა, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა შეძლო თავისი წილი აგური მიეტანა საქართველოს პოლიტიკური

სისტემის მშენებლობაში. მან შეძლო ქართული ეთნონაციონალისტური ენერგიის აკუმულირება და მისი წარმართვა როგორც საბჭოური ნომენკლატურის, ისე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სასარგებლოდ. მოსახლეობის ასეთი რაოდენობით ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში, მათი მობილიზება პოლიტიკურ ამოცანების გადასაწყვეტად საქართვლოს ისტორიაში ძალზე ცოტამ თუ მოახერხა. შესაბამისად, მისი მმართველობის ყველაზე დიდ მიღწევად სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა მან ვერ მოახერხა 1991 წელს მის მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობისათვის საერთაშორისო აღიარების მოპოვაბა. ამავე პერიოდში მან ჩაატარა დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ჩათვლით, რამაც გააბათილა ზატულინისა და სხვა რუსი დემაგოგებისა და ვაიპოლიტიკოსების მტკიცება, რომ ეს რეგიონები თითქოსდა ჯერ კიდევ სსრკ-ს დაშლამდე გამოეყვნენ საქართველოს. გამსახურდიას რეჟიმმა მიაღწია აფხაზეთში დაპირისპირების დაკონსერვება და მისი არგადაზრდა კონფლიქტში, რაც მოგვიანებით საქართველოს მეორე პრეზიდენტის დროს მოხდა.

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა შეძლო შეექმნა პოლიტიკური სისტემები, კონკრეტულად, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, რომელმაც დაუშვა მრავალპარტიულობისა და თავისუფალი არჩევნების შესაძლებლობა, რამაც მთლიანად შეცვალა ქართული პოლიტიკური კულტურა იმდენად, რამდენადაც ეს ახალი ელემენტები პირველად აღმოჩნდა დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად ჩვენს პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ სივრცეში. დღემდე პოლიტიკური დისკურსები ამ სისიტემებს ირგვლივ მიმდინარეობს და პოლიტიკური ორიენტირებიც, ძირითადად, ამ ჯგუფების მიმართ ჯგუფდება და უპირისპირდება ერთმანეთს. ამ სისიტმების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ მართალია, ეს სისტმები არ შეიძლება არ შექმნილიყო სხვა ნებისმიერი პრეზიდენტის დროს შიდა და საგარეო პოლიტიკის რეალობის გათვალისწინებით, მაგრამ ის შეიქმნა გამსახურდიას მმართველობის პირობებში და პირველი პრეზიდენტისა და მისი გუნდის დამსახურება ამ კუთხით აშკარა იყო. პირველად

თანამედროვე საქართველოში გამსახურდიამ ჩაატარა წინასაარჩევნო კამპანია თავისი ატრიბუტიკით: დებატებითა და პოლიტიკური განცხადებებით; პირველად იყო მცდელობა, რომ პოლიტიკური დებატები გადასულიყო პარლამენტში და თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის სახე მიეღო. ამ პერიოდში ტარდება პირველი ადგილობრივი არჩევნებიც და იწყება საპარლამენტო ცხოვრება თავისი ყველა ნიშნით. ასევე პრეზიდენტ გამსახურდიას პოლიტიკის შედეგია თავისუფალი მედიის სისტემის ჩამოყალიბება.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო პირველი ანტიკომუნისტი სახელმწიფოს მეთაური და შესაბამისად, მან ჩამოაყალიბა პირველი ანტიკომუნისტური ხელისუფლება. მისი ანტიკომუნიზმი იმდენად აგრესიული და ქმედითი იყო, რომ მან სამუდამოდ დაასამარა საქართველოში ანტიკომუნიზმი როგორც გავლენიანი პოლიტიკური ძალა უკრაინის, მოლდავასა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისაგან განსხვავებით. თუმცაღა გამსახურდიასათვის გაკვეული ტიპის არადასავლური განწყობებიც იყო დამახასიათებელი. ამის მაგალითი თუნდაც მისი კავკასიური სახლის იდეა იყო, ერთიანად მიუღებელი როგორც დასავლეთისათვის ისე რუსეთისათვის, რადგანაც გამსახურდიას კავკასიური ერთობის იდეა, მართალია, პირდაპირ არ გულისხმობდა მკვეთრ ანტიდასავლურ განწყობას, მაგრამ გარკვეულ ალტერნატივას უქმნიდა ქართველების დასავლურ მისწრაფებებს და არქაული ტომობრივი ტრადიციების კულტით, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უპირისპირდებოდა დასავლურ ლიბერალურ ღირებულებებს. ჯორჯ ჯეიერი თავის სტატიაში „ტომის იდეის აღორძინება?“, რომელიც უკლებლივ გადმობეჭდა გაზ. „რაბოჩაია ტრიბუნამ“, ამერიკელი და საბჭოთა კოსმოპოლიტები ეროვნულ იდეას „ტომობრივ იდეას“ უწოდებდნენ.

მიუხედავად ამგვარი განწყობისა საქართველოს სამომავლო ორიენტირების განსაზღვრისას პირველი პრეზიდენტი არ იყო მოკლებული პოლიტიკურ ალღოს. რიგი პოლიტიკოსების მონოგონებები ადასტურებენ, რომ დასავლეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ნავთობსადენის მაგისტრალის გაყვანის ინიციატორი სწორედ ზვიად გამსახურდია იყო. მისი დავალებით მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტმა ომარ ვარძელაშვილის ხელმძღვანელობით მოამზადა ამ მაგისტრალის ეკონომიკური პროექტი,

რომელიც 1991 წ. 24 სექტემბერს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხელმოწერით დამტკიცდა. შესაძლოა გამსახურდიას ფენომენის გამოუყენებლობით დასავლეთმა რეალურად რამოდენიმე წლით მაინც დაკარგა კავკასიაში დემოკრატიული პროცესების ფორსირების შანსი. გარდა ამისა, ჩემი აზრით, ვერც რუსეთმა ვერ გათვალა, რადგანაც გამსახურდია იყო ერთადერთი გავლენიანი პოლიტიკოსი საქართველოში, რომელიც არ დაუშვებდა საქართველოში, და შესაძლოა რეგიონშიც, დასავლეთის სრულ დომინირებას. არადა გამსახურდიას გადაყენება სწორედ რუსეთს უკავშირდება, რაღა თქმა უნდა, აშშ-სთან ერთად. მოსკოვს „საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება 65 მილიონი დაუჯდა“ წერს მოსკოვის ყოფილი მერი გავრილ პოპოვი.[3] რუსეთთან ერთად გამსახურდიას ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ გაერთიანდა მეორე დიდი იმპერია აშშ. მამა ბუშის მიერ „დინების საწინააღმდეგოდ ცურვაში“ დადანაშაულებული საქართველოს პირველი პრეზიდენტი 1992 წლის 6 დეკემბერს გაზეთ „აღდგომაში“ აქვეყნებს ინტერვიუს. გთავაზობთ ამონარიდს ამ ინტერვიუდან: სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან... სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებშიც.[4]

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შეხედულებით სამართლებრივი სახელმწიფო უნდა შექმნილიყო, არა მარტო საზვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, არამედ უნდა აღორძინებულიყო ეროვნული კანონმდებლობა და ეროვნული სამართლებრივი სისტემა უნდა დამყარებოდა ,,ქართულ სამართლებრივ კულტურასა და ტრადიციებს”, ხოლო ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი - ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადებულიყო, რამდენადაც საქართველოს ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობა არ გულისხმობდა მხოლოდ ეროვნულ - პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ იგი ითვალისწინებდა

[3] i. kveselava, saqarTvelos uaxlesi istoriis qronikebi, II, zviad gamsaxurdia disidenti, prezidenti, mowame, Tb., 2008, gv. 351).

[4]gaz. `asaval-dasavali~ #34 (728) 2008 wlis 25-31 agvisto

ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით. ასეთი სახელმწიფო პოლიტიკის მკეთებელი პოლიტიკური ელიტა 1990-91წწ. ბუნებრივია, რომ „ზედმეტი ეროვნული შეფერილობის იყო". ისინი ხომ ეროვნული მოძრაობიდან მოდიოდნენ. მისი მთავარი ნიშანი იყო ეროვნული იდენტობისადმი ერთგულება და შემდეგ დემოკრატიული ფასეულობების პრობლემათა გადაზრდა ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად. გამსახურდიას გარემოცვა ცდილობდა შეენარჩუნებინა საბჭოთა სისტემისათვის დამახასიათებელი ეკონომიკა და მართვა ისე, რომ იდეოლოგია ჩანაცვლებულიყო პატრიოტული და ნაციონალისტური რომანტიზმით. მაგალითად, მან უარი თქვა მიწის პრივატიზაციაზე, მაგრამ არა საერთო საკუთრების საბჭოური არგუმენტის გამო, არამედ მიწის უცხოელებზე გაყიდვის ნაციონალისტური არგუმენტის მოშველიებით. მმართველ პოლიტიკურ ელიტას მიაჩნდა, რომ ძველი კადრები წინა წყობილების გადმონაშთია და ამიტომაც განახლება-ცირკულაციის პროცესმა მემკვიდრეობის პრინციპის სრული უგულებელყოფით რევოლუციური მეთოდებით აწარმოა. ხელისუფლების იერარქიულ სისტემაში წინსვლის განმსაზღვრელ პრინციპს წარმოადგენდა ეროვნულობა, პატრიოტიზმი და ბელადისადმი ერთგულება. პროფესიონალიზმი და შემოქმედების აზროვნების უნარი უგულებელყოფილი იყო, მაგრამ გამსახურდიას ხელისუფლება მარტო პატრიოტული გრძნობებითა და ენთუზიაზმით თავს ვერ გაართმევდა ქვეყნის მართვის ურთულეს ამოცანებს. თუმცაღა თავისუფლებისათვის ბრძოლის საწყის ეტაპზე ასეთმა მიდგომებმა ერის მაკონსოლიდერებული ფუნქცია შეასრულა. საზოგადო ჭეშმარიტებაა, რომ არ შეიძლება არცერთი იდეის განხილვა იმ ქვეყნის საზოგადოებრივ _ პოლიტიკური განვითარების კონტექსტიდან ამოგლეჯილად, რომლის წიაღშიც ეს იდეები მომწიფდა. გარკვეულ წილად, გამსახურდიას მოძღვრება იყო თავდაცვითი მექანიზმი სახელმწიფოებრიობა წართმეული საქართველოსთვის, რომელსაც როგორც ყველა დამონებულ ქვეყანას, გარკვეულწილად არასრულფასოვნების კომპლექსი ჰქონდა ჩამოყალიბებული. დამარცხებული ერის სინდრომის მქონე ერს სწორედაც რომ სჭირდებოდა ისეთი მოწოდება, როგორითაც მიმართა 1121წ. დიდგორის ველზე დავით აღმაშენებელმა თავის ლაშქარს: `ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის

დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთს რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისაკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ.

გამსახურდიას კონცეფტი იყო ერთგვარი შეხსენება უძველესი ქართველი ერის მდიდარი, თვითმყოფადი და ინდივიდუალური კულტურის და ცივილიზაციისა; მოწოდება იმისა, რომ აღმაშენებლის გენეტიკური კოდის მატარებელ ერს არ ჰქონდა დაცემისა და დაჩოქების მორალური უფლება. გარკვეულ წილად, ამ იდეამ ერის გამოფხიზლებისა და გაერთიანების ურთულესი ისტორიული ფუნქცია იტვირთა; და, მართლაც, ორივე შემთხვევაში მოხდა სასწაული, რის შესახებაც მემატიანე იტყვის: „ძლევაი საკვირველი“-ო. პირველ შემთხვევაში ქართველებმა 56 ათასიანი ჯარით დაამარცხეს თურქთა 300 ათასიანი არმია; მეორე შემთხვევაში, 19 საუკუნის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს ქართველი ხალხი შეხვდა ერთმუშტად შეკრული, მთლიანი და ძლიერი როგორც არასდროს უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში ქართველი ერის ისტორიაში.[5]

თავისუფლებისათვის ბრძოლის ეტაპზე ეთნიკურმა ნაციონალიზმმა ერის მაკონსოლიდირებული როლი შეასრულა, მაგრამ შემდეგ ეტაპზე - დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობისას ეთნიკური ნაციონალიზმის იდეის გადააზრება არ მოხდა. ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც ადრე ერის შეკავშირებისათვის იბრძოდა, თანდათან სეპარატიზმისა და ირედენტიზმის წყარო ხდება. ამიტომ საჭირო იყო თანდათანობით ეთნიკურიდან აქცენტების სახელმწიფოებრივსა და ლიბერალურ _ სამოქალაქო ნაციონალიზმზე გაკეთება, მაგრამ ისე, რომ ბალანსი ერთი მხრივ, ტრადიციულ ღირებულებებსა და ეროვნულ ინტერესებს შორის და, მეორე მხრივ, ღია დემოკრატიული

[5] ჯიჯეიშვილი ქ., შტრიხები პრეზიდენტთა პოლიტიკური პორტრეტისათვის, თბ., 2009, გვ. 41.

საზოგადოებისთვის დამახასიათებელ პრინციპებსა და გლობალური პროცესებისათვის ნიშანდობლივ ტენდენციებს შორის შენარჩუნებული ყოფილიყო; მომხდარიყო ეროვნული და ინტერნაციონალურის იმგვარად შეთავსება, რომ ის ათასწლეულების შესაყარზე აღდგენილი ქართული სახელმწიფოს განვითარების იდეოლოგიურ საფუძვლად ქცეულიყო. სამწუხაროდ, საქართველოს არც მეორე და არც მესამე პრეზიდენტის მოღვაწეობის დროს ეს ბალანსი დაცული არ ყოფილა. ორივე შემთხვევაში იყო ინტერნაციონალურის პრიმატი ეროვნულზე. გლობალურის _ ტრადიციულზე. შევარდნაძეს წარმოადგენდა ძველი საბჭოთა ელიტა, პრორუსული ორიენტაციითა და ინტერნაციონალური ღირებულებებით, სააკაშვილს კი ახალი ელიტა ინგლისური მეტყველებითა და კოსმოპოლიტური ფასეულობებით. ორივე მათგანს აერთიანებდა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისადმი სკეპტიკური ხედვა და ეს არ იყო მხოლოდ ქართული ფენომენი.

სწორედ ნაციონალიზმთან დაპირისპირებისა და ეროვნული ინტერესების გაუთვალისწინებლობის გამო ვერ მოხერხდა თანამედროვე საქართველოში სახელმწიფო ცხოვრების სტაბილური რითმის დამკვიდრება, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდებოდა ქვეყნის მოდერნიზება და ძირეული დემოკრატიული რეფორმების განხორციელება. ერთი შეხედვით, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის მიზეზი გახდა ეთნოკრატიულმა მმართველობა, როგორც უწოდებს პოლიტოლოგიურ გამოკვლევებში ავტორთა ნაწილი გამსახურდიას ხელისუფლების ფუნქციონირების პერიოდს, მაგრამ, ჩემი აზრით, თუკი ამ პროცესებს ჩავუღრმავდებით, რეალური მიზეზი უნდა ვეძებოთ ისტორიული და საერთაშორისო პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ყველასათვის ცნობილი პოლიტიკური აქსიომაა, რომ პოლიტიკური მოღვაწის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ის ფაქტი, თუ როდის და სად უხდება მას მოღვაწეობა. ყველა პერიოდს თავისი დროის შესაბამისი საჭიროებები და მოთხოვნილებები გააჩნია. ამ მხრივ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს ნამდვილად არ გაუმართლა.

ლოკალურ დონეზე: მას მოუხდა მოღვაწეობა და პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება გარდამავალი პერიოდის საქართველოში, დემოკრატიული პოლიტიკური

კულტურისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების დაბალი დონის პირობებში, როდესაც საზოგადოების მხრიდან არსებობდა სწრაფი ეკონომიკური ზრდის, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქვეყანაში მყისიერად დემოკრატიის დამკვიდების ძალზე დიდი მოლოდინები, მაშინ როდესაც მთავრობას არ გააჩნდა არც საკმარისი გამოცდილება და არც რესურსები ამ მოლოდინის გასამართლებლად, შესაბამისად, დემოკრატიული პროცედურებისაგან ნებისმიერი გადახვევა ფასდებოდა როგორც უკიდურესი ნეგატიური ფაქტი. იმ პერიოდის რიტორიკული კითხვა იყო: რა უფრო მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიის მშენებლობა თუ ეროვნული სახელმწიფოს მოწყობა. რომელი უნდა უსწრებდეს წინ რომელს. გამსახურდიას ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება მიაჩნდა პრიორიტეტულად, ამიტომაც რადიკალურმა ოპოზიციამ და რუსულმა მედიამ იზრუნა იმისათვის, რომ მისთვის დიქტატორის იმიჯი შეექმნა.

გლობალურ დონეზე: გამსახურდიას მოუხდა მოღვაწეობა იმ დროს, როდესაც დასავლეთში ლიბერალური იდეოლოგია თავისი უმცირესობების უფლებების დაცვის პრინციპებით, ფაქტიურად, უალტერნატივო იყო და ნაციონლიზმს, როგორც გლობალისტი მეცნიერი შლომო ავინერი აღიარებს, ატავიზმად განიხილავდნენ როგორც ლიბერალები, ასევე ორთოდოქსი მარქსისტები. მართალია, დისიდენტ გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლამდე მხარს უჭერდა დასავლეთი, რადგან მიაჩნდათ, რომ ის იქნებოდა მათი იდეოლოგიის გამტარი: გამსახურდია იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩამოყალიბებული პირველი ადამიანთა უფლებების დამცველი საზოგადოების ,,ჰელსინკთა კავშირის" ორგანიზატორი, კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ყველაზე აქტიური და უკომპრომისო მებრძოლი და მისი პოლიტიკური იდეების წყაროც დასავლეთში იღებდა სათავეს. მისთვის მისაბაძი პოლიტიკოსები იყვნენ ძლიერი და ერის გამთლიანებისთვის მებრძოლი მოღვაწე გენერალი დე გოლი და ყოფილი დისიდენტი, შემდგომ სახელმწიფოს მეთაური ვაცლავ ჰაველი. შესაბამისად, 70-იან წლებში ამერიკელი პრეზიდენტებისა და სახელმწიფო მდივნების სიტყვებში ხშირად ისმოდა ამერიკელებისათვის ძნელად გამოსათქვამი გვარი გამსახურდია. დისიდენტ გამსახურდიას იცავდა თეთრი სახლი და კონგრესი, ამერიკის საელჩო მოსკოვში. მასზე წერდნენ ჟურნალები New York Times Washington post და სხვა. ვ.

ალფენიძე იგონებს: იმ სადღეგრძელოების ტექსტებსაც ვღებულობდით ცკ-ში, რომელსაც ზ. გამსახურდია მოსკოვში, აშშ-ს საელჩოში თავის ამერიკელ მეგობრებთან წარმოსთქვამდა, ვღებულობდით წერილების მთელ ნაკადს ზვიადის დასაცავად ამერიკელი კონგრესმენებისგან, ფრანგი კომუნისტებისგან და ა.შ[6]. მიუხედავად ასეთი მხარდაჭერისა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამსახურდიას მმართველობა უკვე მთლიანად მიუღებელი აღმოჩნდა დასავლეთისთვის. მას იმედი გაუცრუვდა, რადგანაც მიიჩნია რომ გამსახურდიას მმართველობის დროს, მართალია, მუშაობდა დემოკრატიული მექანიზმები, მაგრამ ის ძალზე შორს იყო ლიბერალიზმის პრინციპებიდან. გერმანელი მოაზროვნის თეოდორ ჰანფის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად ყველაზე უფრო დემოკრატიულები ეგრეთწოდებული ზვიადისტები აღმოჩნდნენ - 34%, მაგრამ ყველაზე უფრო დემოკრატიულებიდან კონვივიალურები (სხვა ეთნოსის რელიგიისა თუ მრწამსის ადამიანებთან თანაცხოვრების მსურველები) - მხოლოდ 18% .[7] ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა კათედრის გამგე ბრუნო კომპიეტერსი თავის ნაშრომში _ `სამშობლოს დასაცავად: ინტელექტუალები და ქართულ-აფხაზური კონფლიქტი~ _ მიუთითებს, რომ რუსულ დისიდენტურ მოძრაობასთან შედარებით, ერის ბედზე სადარდებლით შეჭირვებულ ქართველებს ნაკლებად აინტერესებდათ პიროვნების უფლებები. მათთვის მშობლიური ენისა და ეროვნული კულტურის დაცვა უფრო მეტად მნიშვნელოვანი და საშური საქმე იყო, ვიდრე ადამიანის უფლებათა დაცვის აბსტრაქტული ცნების გააზრება. იურგენ ბერგერი იმასაც აღნიშნავს, რომ არცერთ `სამიზდატის~ გამოცემაში სიტყვაც არაა რესპუბლიკაში არაქართული მოსახლეობის ენისა და კულტურის დაცვაზე დაძრული, უფრო მეტიც, რადიკალურად განწყობილი ქართველი დისიდენტები მთავრობის მხრივ უმცირესობების მიმართ ნებისმიერი დათმობის მცდელობას აკრიტიკებდნენ და მათ ეს პოზიცია ხელისუფლებაში მოსვლისასაც შეინარჩუნეს.[8] სწორედ გამსახურდიას პიროვნებაში განსხეულებული ქართული ნაციონალიზმის იდეის გამო დასავლეთმა აშკარად გამოხატა თავისი

[6] i. kvesilava, saqarTvelos uaxlesi istoriis qronikebi, t. II, Tb., 2008, gv. 198
[7] Jurn. `sazogadoeba da politika~, II, Tb., 2002, gv. 209
[8] Jurn. `sazogadoeba da politika~, II, Tb., 2002, gv. 276

უარყოფითი დამოკიდებულება ლეგიტიმურად არჩეული გამსახურდიას ხელისუფლებისადმი, მეტიც, მას ბრალი პროვინციულ ფაშიზმში დასდეს. თითქმის ანალოგიური სცენარით მოხდა ა. ელჩიბეის რეჟიმის დამხობა აზერბაიჯანში 1993წ. ივნისში. ორივე გადატრიალებამ უზრუნველყო სამხრეთ კავკასიაში განმათავისუფლებელი პროცესის შეჩერება და ძალთა თანაფარდობის შეცვლა რუსეთის სასარგებლოდ. ნაციონალიზმი დამარცხდა.

თანამედროვე პერიოდში გლობალური პოლიტიკური კლიმატი მკვეთრად შეცვლილია ნაციონალიზმის სასარგებლოდ. „ბრექსტისა“ და დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებით წახალისებული ნაციონალისტური განწყობა „დომინოს პრინციპით“ გავრცელდა მთელს ევროატლანტიკურ სივრცეში და ნიადაგი მოუმზადა პოპულისტური და ანტიისლამისტური ხასიათის ძალების ძალაუფლებაში მოსვლას, ისეთების, როგორებიცაა: მემარჯვენე პოპულისტური პარტია „ალტერნატივა გერმანიისათვის“, რომელიც ბუნდესტაგში მესამე ძალად შევიდა, ნაციონალ-კონსერვატიული პარტია „შვედეთის დემოკრატები“, რომელიც აღმოცენდა შვედეთის ფაშისტური მოძრაობიდან და სიდიდით მესამე პარტიაა შვედეთის საკანონმდებლო ორგანოში; ულტრანაციონალისტური პარტია „ოქროს აისი“, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა საბერძნეთის საპარალამენტო არჩევნებში; რადიკალი მემარჯვენე პოპულისტური პარტია „ჭეშმარიტი ფინელები“, რომელიც შეუერთდა ფინურ სამთავრობო კოალიციას; დანიის „სახალხო პარტია“, რომელიც სიდიდით მეორეა დანიაში; იტალიის ნეოფაშისტური პარტია „ჩრდილოეთის ლიგა“, რომელიც იტალიის საზოგადოების მხარდაჭერით (13 პროცენტით) მეოთხეა გამოკითხვების მიხედვით და საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტი“, რომლის ლიდერმა მარენ ლე პენმა, მართალია, წააგო 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ პოპულარობის ზრდის დინამიკის გათვალისწინებით, ძალზე რეალურია, რომ ხუთი წლის შემდეგ ის მოგვევლინოს საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე.

ამ პოლიტიკურ ფონზე რომ მოსულიყო გამსახურდია, ვფიქრობთ, მისი პოლიტიკური იდეები გაცილებით მისაღები იქნებოდა დასავლეთისათვის და მას ეფექტური

მმართველობისათვის გაცილებით მეტი რესურსი ექნებოდა. უბრალოდ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს არ გაუმართლა. არ მოხდა საჭირო დროს საჭირო ადგილას.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, მიუხედავად გამსახურდიას მიერ დაშვებული შეცდომებისა, მან შეძლო ახალი ტიპის პოლიტიკური სისტემების, კერძოდ, მრავალპარტიული სისტმის, თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობისა და თავისუფალი მედიის საფუძვლების შექმნა და ამ ახალი ელემენტების შემოტანით პოლიტიკურ სისტემაში შეძლო ქართული პოლიტიკური კულტურის შეცვლა.

1.3. საქართველოს მეორე პრეზიდენტი - ედუარდ შევარდნაძე: კონტაქტები დასავლეთთან

1991 წლის მიწურულს საქართველოში შექმნილი მწვავე პოლიტიკური კრიზისი შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალით დამხობა და სახელმწიფო გადატრიალება. ხელისუფლებას არალეგიტიმური სამხედრო საბჭო დაეუფლა, რომელმაც შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, დაითხოვა უზენაესი საბჭო და სახელმწიფო მართვის სტრუქტურები დაიქვემდებარა. საქართველოში დამყარდა სამხედრო დიქტატურა.

გამსახურდიას მოწინააღმდეგეებს იერიში მიჰქონდათ არა მხოლოდ პიროვნებაზე, არამედ პრეზიდენტის ინსტიტუტზე. „მე არ ვიბრძვი პრეზიდენტობისათვის, მე ვებრძვი პრეზიდენტობას“[9] აცხადებდა თამაზ კვაჭანტირაძე. ასე, რომ გამსახურდიას დამხობის შემდეგ „პრეზიდენტის ინსტიტუტი“ საქართველოს იმდროინდელმა მმართველმა სამხედრო საბჭომ „დიქტატურის“ სინონიმად გამოაცხადა, ამიტომაც საქართველოში ჩამოყვანილი შევარდნაძისთვის პრეზიდენტობა დროებით შეუძლებელი აღმოჩნდა. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მისთვის სპეციალურად მოიგონეს ახალი წესი - პარლამენტის თავმჯდომრის არჩევა საყოველთაო - სახალხო კენჭისყრის შედეგად. შევარდნაძემაც კენჭი იყარა ცალკე „პარლამენტის თავმჯდომარის“ პოსტზე. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც საყოველთაო-სახალხო

[9] გაზ. „ახალიივერიელი“, 1991, 28 სექტემბერი

კენჭისყრით აირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარე. ამ პეროიდში მოქმედი პოლიტიკური მმართველობის მოდელი შევიდა ისტორიაში როგორც საპარლამენტო მოდელის განსაკუთრებული ქართული ვერსია, რომლის დროსაც პირველი პოლიტიკური ფიგურა დე ფაქტოცა და დეიურეც არის პარლამენტის თავმჯდომარე.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო. კონსტიტუციით ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა და პრეზიდენტის ინსტიტუტი „შევარდნაძის თარგზე“ გამოიჭრა და კვლავ დავუბრუნდით საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელს.

1995 wlis saqarTvelos konstituciam saprezidento mmarTvelobis modelis saxelmwifos meTauri sakanonmdeblo Tu sabiujeto procesis marTvis berketebiT srulad aRWura. prezidentis kompetenciuri sazRvrebis konstituciuri zrda aisaxa 2004 wlis 6 Tebervlis sakonstitucio cvlilebebSic, ris Sedegadac, saxelmwifo mmarTvelobis formis cvlilebasTan erTad, gafarTovda saxelmwifos meTauris uflebamosilebebis arealic, romelmac, 1995 wlidan dRemde, yvelaze meti cvlileba ganicada, gansakuTrebiT aRmasrulebel xelisuflebasTan mimarTebaSi.

ამ სისტემის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც უშუალოდ ირჩევს ხალხი, არის სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. მინისტრთა კაბინეტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, კოლეგიური და პასუხისმგებელი რგოლი, არ არსებობს. მთავრობა პრეზიდენტის მხოლოდ სათათბირო ორგანოა და მის წინაშეა პასუხისმგებელი. პრეზიდენტს გააჩნია ფართო უფლებამოსილებები, მაგრამ არა აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი. სახელმწიფოს მმართველობის ეს მოდელი მრავალი ნიშნის მიხედვით ძალზედ წააგავდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს მმართველობის სისტემას, რომელიც წმინდა, ანუ კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახელითაა ცნობილი. სამწუხაროდ, xelisuflebis mowyobis saprezidento, “amerikuli“ modeli არაეფექტიანი გამოდგა გარდამავალ პერიოდში მყოფი ახალი დემოკრატიის ქვეყნისათვის. მისი nakli ქართულ პრაქტიკაში aRmoCnda xelisuflebis sixiste, politikuri krizisis SemTxvevaSi parlamentis mier mTavrobis gadayenebisa da prezidentis mier parlamentis daTxovnis SeuZlebloba. am garemoebebma, aseve

mTavrobis saqmianobaze TiTqmis ararsebulma saparlamento kontrolma sagrZnobi disbalansi gamoiwvia saqarTveloSi aRmasrulebeli xelisuflebis farTo uflebamosilebebsa da mis pasuxismgeblobas Soris (23 q. eremaZe, saxelmwifos naxevrad saprezidento sistema saqarTvelos magaliTze, krebulSi "saxelmwifos konstituciuri organizacia", Tbilisi, 2004, gv. 99-100). prezident SevardnaZes realurad ar ჰქონდა uflebamosileba, SeeCerebina an gaeuqmebina mTavrobisa da aRmasrulebeli xelisuflebis dawesebulebaTa samarTlebrivi aqtebi.

2001 wlis gazafxulze eduard SevardnaZემ parlamentSi Seoتanა kanonproeqtი (11 marina musxeliSvili. konstituciis diskursuli legitimacia. Tbilisi, 2006, gv.16)., რომლის yvelaze mniSvnelovani cvlileba iyo premier-ministris postis SemoReba da saxelmwifo ministris Tanamdebobis gauqmeba. saxelmwifos meTauris uflebamosileba farTovdeboda, qveynis აღმასრულებელ და umaRles warmomadgenlobiT organosTan mimarTebaSi. gamoqveynebuli proeqtis mixedviT, prezidents SeeZlo rogorc mTlianad mTavrobis gadayeneba, ise calkeuli ministrebis gaTavisufleba Tanamdebobidan (volfgang gauli.miTiT.naSr.gv.302). და parlamentis daTxovnა. rogorc Cans, პრეზიდენტს სურდა parlamentis rolis daknineba da im problemaTa aRmofxvra, რომელსაც umaRles kanonmdebelTa mxridan awydeboda. konstituciuri cvlilebebis proeqti Zalauflebis ganawilebis qarTul dabalansebul sistemas sruliad aclida safuZvels (volfgang gauli. miTiT.naSr.gv304.) ganxiluli konstituciuri cvlilebebi mwvave kritikis sagani გახდა. ucxoelma eqspertebma – lesigma, blankenagelma, Saiom da holmsma Ria werilSi miuTiTes, rom Tanamedrove qarTuli sistema warmodgenili cvlilebebis miRebis SemTxvevaSi supersaprezidento sistemad gadaiqceva (15 volfgang gauli. miTiT.naSr.gv.303-304). cvlilebaTa ამ paketს, aqtiurad uwevdnen oponirebas ახალგაზრდა ნაციონალები, რომლებისთვისაც ეს ცვლილებები politikur rolTa Secvlis Semdgom absoluturad misaRebi gaxda. prezident SevardnaZis mier parlamentSi wardgenil kanonproeqts sakanonmdeblo organos mxridan uaryofa mohyva, magram, როგორც აღვნიშნეთ, praqtikulad identuri cvlileba-damatebani damtkicdeba postSevardnaZiseul parlamentSi 2004 wlis TebervalSi. Tanac ise, rom darRveuli iqneba konstituciuri kanonis proeqtis publikaciisa da ganxilvis erTTviani procedura. es gadawyvetileba argumentirebulia imiT, rom cvlilebebi arsebiTad imeorebs

2001 wlis gazafxulze parlamentSi eduard SevardnaZis mier Semotanil da gamoqveynebul kanonproeqts (marina musxeliSvili. konstituciis diskursuli legitimacia. Tbilisi, 2006, gv.16.)

2001 wlis bolos, saxelisuflebo krizisis ფონზე დაიწყო studentTa masobrivi gamosvlebi, რომლის ფონზეც sazogadoebis erT nawilSi popularuli gaxda prezidentis gadadgomisa da parlamentis vadamdeli daTxovnis lozungebi. am moZraobam farTo gasaqani მაშინ ვერ პოვა, მაგრამ ორი წლის შემდეგ მომდევნო სახელისუფლები კრიზისის გამკლავება საქართველოს მეთაურმა vეღარ შეძლო და ის პოსტიდან გადადგა.

თუ შევაჯამებთ საქართველოს მეორე პრეზიდენტის მმართველობის შეცდომებს და მიღწევწებე, შეიძლებ ვთქვათ, რომ **საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის** მმართველობის დროის დილემა იყო ფასადური სახელმწიფოს პრობლმა. შევარსდაძე ყოფილი კომუნისტი იყო და ამიტომ მისთვის პოლიტიკურად უფრო საიმედო აღმოჩნდა კომუნისტური წრთობის პოლიტიკოსები, ვიდრე ნაციონალისტები ან პროდასავლური ოპოზიცია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების გარდა პოსტსაბჭოთა ყველა ქვეყნის მეთაური გახდა იმ დროს მომქმედი ან ყოფილი კომუნისტი ხელმღძვანელი. კავკასიის სამივე რესპუბლიკაში პირველ პრეზიდენტებად ყოფილი დისიდენტები, პროფესიით ფილოლოგები აირჩიეს, რომლებიც მალევე ჩაანაცვლა ისევ ძველმა გამოგრძმედილმა მეთაურებმა: აზერბაიჯანში 1993 წ. დისიდენტი და შემდგომ პირველი პრეზიდენტი ებულფაზ ელჩიბეი ჩანაცვლდა პოლიტბიუროს ყოფილი წევრითა და ადრე ზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას პირველი მდივნით ჰეიდარ ალიევით, სომხეთში 1997 წელს დისიდენტი და პირველი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი – მთიანი ყარაბაღის ერთ-ერთი ქარხნის პარტკომის ყოფილი მდივნით რობერტ ქოჩარიანით (სომხეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი არენ დემირჭიანი ტერორისტებმა პარლამეტის ერთ-ერთ სხდომაზე მოკლეს), საქართველოში კი 1992 წ. დისიდენტი და საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია - პოლიტბიუროს წევრითა და საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანით ედუარდ შევარდნაძით, რომელმაც იშვიათი გამონაკლისის გარდა შეინარჩუნა

ძველი მემკვიდრეობა და ფაქტობრივად უარყო ის, რაც განახლება-ცირკულაციას უზრუნველყოფდა. შევარდნაძეს ხელისუფლებაში მოსვლის დროს ქართული საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მხარი დაუჭირა სწორედ იმიტომაც, რომ იგი წარსულის წესრიგისა და სტაბილურობის სიმბოლო და მომავალი კეთილდღეობის იმედი იყო. კომუნისტური ნომენკლატურა მასში საკუთარი ლეგიტიმურობის ნაწილობრივი აღდგენის შანსს ხედავდნენ. და ეს ფაქტიურად ასეც მოხდა.

შევარდნაძემ დასაწყისში რადიკალურად შეცვალა პოლიტიკური ორიენტაცია _ რუსეთიდან დასავლეთის სასარგებლოდ, შეცვალა პოლიტიკა, მაგრამ არ შეცვალა პოლიტიკის მკეთებლები. მისი ფავორიტები დარჩნენ ისევ ის „აპარატჩიკები“, რომლებიც ადრე რუსეთისაკენ აგებდნენ ხიდებს. ამ კუთხით თუ შევხედავთ პოლიტიკურ პროცესებს, გარკვეულ წილად სიმართლეს შეიცავს გამსახურდიას მოსაზრება, როცა მან შევარდნაძის დაბრუნებას კონტრრევოლუცია უწოდა. დემოკრატიული ტრანსფორმაციის თეორეტიკოსები ხშირად საუბრობენ დემოკრატიაზე დემოკრატების გარეშე, როდესაც თავისუფალი საბაზრო რეფორმები რეფორმატორების გარეშე ტარდება. ასე მოხდა საქართველოშიც. ეკონომისტები ხელისუფლებაში თავს ძალიან კომფორტულად გრძნობდნენ ამჟამინდელი რეალობა ძალიან წააგავდა ნაცნობ სიტუაციას, როცა ბიუჯეტი სხვაგან დგებოდა. უბრალოდ, სიტყვა დირექტივები შეიცვალა სიტყვით რეკომენდაციები, სხვა შემთხვევაში მოქმედებდნენ ეკონომიკური მართვის უკვე ნაცადი პრინციპები სტრუქტურულ დონეზე მაინც.

ერთი შეხედვით, საგანგაშო არაფერი არ უნდა ყოფილიყო, რომ ქვეყანას მართავდა გარდაქმნილი და ფერშეცვლილი ნეონომენკლატურული პოლიტიკური ელიტა, მით უფრო, რომ გარდამავალ პერიოდში, რომელსაც გარკვეული აზრით, გარდამავალი ზონა[10]. შეიძლება ეწოდოს, ადამიანზე ზემოქმედებს ძველში ყოფნისა და ახლის შექმნისაკენ წარმმართველი ძალები. ასე იყო აგებული ნომენკლატურის ბიუროკრატიული იერარქიული სტრუქტურა პოსტსაბჭოთა სივრცის აზიური ნაწილისა და რუსეთის რეგიონში, სადაც ხელისუფლება, ძირითადად გარდაქმნილი კომუნისტების ხელშია.

[10] Тичи Н., Деванина М., Лидеры реорганизации, М., 1990, ст. 68

შევარდნაძის მიერ 12 წლიანი მმართველობის შედეგად ჩამოყალიბებული კორუმპირებულ კლანური სისტემის პირობებში ვერ ხერხდებოდა სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ელემენტარული ხარჯების დაფინანსება. სახელმწიფო ქონება გროშებად ჩაიგდეს ხელში მონოპოლიურ კლანურმა დაჯგუფებებმა, რომელთაც არ შეეძლო ფუნქციონირება ხელისუფლების ფარული მხარდაჭერის გარეშე. შევარდნაძის მმართველობის დროს საქართველოში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ სისტემას ბევრი "დეფექტურ დემოკრატიას" უწოდებს დემოკრატიის ელემენტებისა და პოსტკომუნისტური კლანურობის უცნაურ ნაზავს. საქართველოში არსებული ვითარების თავისებურება ის იყო, რომ როგორც კლანური სისტემა, ისე მასთან დაპირისპირებული ძალები რესურსების მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ.

ინგლისელი პოლიტოლოგი, უორიკის უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო გამოკვლევების კათედრის წევრი ლ. ალისონი, რომელიც რამოდენიმეჯერ იმყოფებოდა საქართველოში, ჩვენ ქვეყანაში დემოკრატიზაციის განვითარებისათვის შემდგომ პირობებს ასახელებს:

1. ეკონომიკური ფაქტორი, ცხოვრების მაღალი დონე შემოსავალი ერთ სულზე; პოზიტიური ზრდა; საკუთრების ფართო განაწილება; სტაბილური ვალუტა.

2. კულტურული ფაქტორი: ა) რელიგიური პროტესტანტობა; ბ) სა¬მოქალაქო საზოგადოება; გ) ნორმატიული ფაქტორი ტოლერანტიზმში დარწმუნებულობა, ნდობის არსებობა, პლურალიზმი.

3. ინსტიტუციური: ნაციონალური სამართლებრივი სტრუქტურების არსებობა, შუალედური ორგანიზაციების ფართო სპექტრი, პრაქტიკული კონკურენციის გამოცდილება.

4. თვითგანხორციელება: დემოკრატიის გარდუვალობაში დარწმუნებულობა.

90-იანი წლების საქართველოში არსებული პირობების ანალიზის შედეგად ინგლისელი მეცნიერი მეტისმეტად პესიმისტურ დასკვნამდე მივიდა. საქართველო ყველა ეკონომიკური კრიტერიუმის მიხედვით წარუმატებლობას განიცდის, მას სრულიად არ გააჩნია სწორი ინსტიტუციური სტრუქტურები. მას არა აქვს დემოკრატიის ისტორია, ხოლო

მისი პრინციპული რელიგია (მართლმადიდებლობა) და რელიგიური უმცირესობა (ისლამი) პოზიტიურად არ შეეფერება არჩევნების კონკრეტულობას.[11] შევარდნაძის დაბალანსების პოლიტიკაც არაეფექტური გამოდგა, რადგანაც, პირველი, რუსეთი ვერ შეეგუა თავისად მიჩნეულ გეოპოლიტიკურ სივრცეში დასავლეთის გამოჩენას, მაშინ ეს აზრი რუსეთისათვის ძალიან უცხო იყო. ასევე არც დასავლეთს ეძლეოდა სრული სამოქმედო კარტ-ბლანში საქართველოში რუსეთის არსებობის პირობებში;

და მეორეც, ჩვენი აზრით, გარკვეული როლი ითამაშა საგარეო ფაქტორმაც. გლობალური პოლიტიკური კლიმატი შევარდნაძის პოლიტიკის სასარგებლოდ იყო მიმართული 2001 წლამდე, სანამ აშშ-ს სათავეში მოვიდოდა ჯორჯ უოლკერ ბუში უმცროსი, რომლის პოლიტიკაც მთლიანად განსხვავდებოდა შევარდნაძის პოლიტიკან და რუსეთთან კონფრონტაციის მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა, ხოლო რუსეთის სათავეში ერთი წლით ადრე მოვიდა ავტორიტარი ვლადიმერ პუტინი, რომელმაც შეძლო ელცინის დროს მინავლული რუსეთის იმპერიული იდეის აღორძინება. სანამ აშშ-ს მართავდა აშშ-ს 42 პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ხოლო რუშეთს - ბორის ელცინი შევარდნაძის მიერ აღორძინებული „ორი რუსეთის“ იდეა და დაბალანსების პოლიტიკა მათი თამაშის წესებში შედიოდა. იმ პერიოდში განვითარებული პოლიტიკური პროცესების პოლიტიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ კლინტონის დროინდელი აშშ-ს საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში მიზნად არ ისახავდა რუსული სახელმწიფოსათვის ძირის გამოთხრასა და რუსეთის სახელმწიფოს იზოლაციას, რადგან კუთხეში მიმწყვდეული არაპროგნოზირებადი და არადემოკრატიული რუსეთი გაცილებით საშიში იქნებოდა ამერიკისათვის. ამიტომაც ამ უკანასკნელის სტრატეგიას წარმოადგენდა რუსეთთან თანამშრომლობით დემოკრატიული პროცესების ტრანსპლანტაცია და მათი ხელშეწყობა. ამ გაგებით საქართველოს მეორე პრეზიდენტის დაბალანსების პოლიტიკა და რუსეთის აყოლა იმ დოზით, რა დოზითაც ის დემოკრატიული იქნებოდა, აშშ-სათვის მისაღები იყო. აშშ-ს იმედებს აძლიერებდა ის ფაქტი, რომ რუსეთის სათავეში დემოკრატი ელცინი იდგა, რაც ქმნიდა ილუზიას, რომ რუსეთში განვითარდებოდა დემოკრატიული პროცესები და დემოკრატიული რუსეთი

[11] l. alisoni, `demokratiis Teoriebsa da demokratizaciis Teoriebs Soris gansxvavebis Sesaxeb~, demokratizacia: Teoria da praqtika, saerTaSoriso konferenciis masalebi, Tb., 23 marti. gv. 25

ხელს შეუწყობდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მშენებლობაში და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. ამ პერიოდისათვის შევარდნაძის მმართველობა დასავლეთისათვის მისაღები იყო, მაგრამ სულ მალე პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა - რუსეთის სათავეში მოვიდა ერთპიროვნული მმართველი პუტინი, ხოლო აშშ-ს სათავეში - ჯორჯ ბუში, რომელსაც სჭირდებოდა საქართველოს შემთხვევაში არა დამოუკიდებელი მოთამაშე, არამედ ერთგული და კონტროლირებადი ხელისუფალი. ამგვარად, შევარდნაძე გლობალური პოლიტიკური კონტექსტიდან ამოვარდნილი აღმოჩნდა. მან თავისი პოლიტიკის შედეგად მიიღო ვარდების რევოლუცია და დასავლეთმა უზრუნველყო მისი ჩანაცვლება ახალგაზრდა და რუსეთთან ბუშის ადექვატური პოლიტკის გამტარი, ცალსახა პროდასავლელი სააკაშვილით და ამით გაიხანგრძლივა საკუთარი გავლენა კავკასიის საკვანძო სახელმწიფოში საქართველოში. თავის მემუარებში `ფიქრები წარსულსა და მომავალზე~ კრწანისში ევაკუირებული შევარდნაძე საუბრობს ვარდების რევოლუციის რეალური ავტორისა და სცენარისტის ვინაობაზე.

ჯორჯ ბუშის წერილი ედუარდ შევარდნაძისადმი, დეკემბერი. 2003. მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო, დიდ მადლობას მოგახსენებთ თავისუფლების დამკვიდრებაში თქვენს მიერ გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის. თქვენი ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა ცივი ომის დამთავრება, ყოფილ საბჭოთა სივრცეში თავისუფლების დამკვიდრება, სამოქალაქო ომის წყვდიადიდან საქართველოს გამოყვანა და ქვეყანაში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის დაფუძნება, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მტკიცე მეგობრობის ჩამოყალიბება... თქვენი ღირსეული გადადგომა[23]ნოემბერს და მზადყოფნა, გაუზიაროთ თქვენი სიბრძნე და გამოცდილება საქართველოს ხელმძღვანელობის ახალ თაობას, რომლებიც თქვენი აღზრდილები არიან, თქვენს კიდევ ერთ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. თქვენი გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე თბილისის ქუჩებში ძალის გამოყენების ნაცვლად, თქვენი შესანიშნავი კარიერის ღირსეული დაგვირგვინებაა. პატივისცემით ჯორჯ ბუში.[12]

[1223]e. SevardnaZe, fiqrebi warsulsa da momavalze, Tb., 2008, gv. 28

შევარდნაძემ ვერც საშინაო პოლიტიკაში შეძლო აშშ-ს მხარდაჭერის შენარჩუნება, ის აურაცხელი ინვესტიციები, რომლებიც მისი პრეზიდენტობის დროს შემოვიდა საქართველოში, არ მოხმარდა ეროვნული სახელმწიფოს დემოკრტიული მშენებლობას. მისი მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბებული კორუმპირებული - კლანური სისტემა კი მიუღებელი იყო დასავლეთისათვის. სწორედ კორუფციულმა და კლანურმა მმართველობამ, ნეპოტიზმმა, ტრაიბალიზმმა, ქრონიკულად დეფიციტური ბიუჯეტიმა, კერძო ბიზნესში სახელმწიფოს წილების არსებობამ, არასახარბიელო საინვესტიციო გარემომ, რაც საქართველოში უცხოური კაპიტალდაბანდებების განხორციელების შესაძლებლობას სპობდა და კიდევ სხვა უამრავი სოციალური პრობლემის არსებობამ გამოიწვია ქართული სახელმწიფოს რიგით მეორე ჩავარდნა - ლეგიტიმურობის კრიზისი, რომელსაც მოყვა ვარდების რევოლუცია.

შევარდნძის რეჟიმი ეყრდნობოდა აღორძინებულ საბჭოთა არაფორმალურ ქსელსა და საერთაშორისო მხარდაჭერას. მათი შერწყმა გამოხატული იყო მოქალაქეთა კავშირის ანატომიაში - კანონმდებლობაზე უფრო დიდი იყო ე. წ. რეფორმატორთა გავლენა, მაშინ როდესაც აღმასრულებელი ბერკეტები უფრო კონსერვატორთა ხელში იყო თავმოყრილი, რაც პირდაპირ მიუთითებდა, რომ შევარდნაძისათვის, როგორც საბჭოთა პოლიტიკის ბოლო ათწლეულების კარგი მცოდნისათვის, არსებობდა არაფორმალური პრაქტიკის ფორმალურზე პრიმატის პრინციპი. მისთვის სახელმწიფო პრაქტიკის ფასადის მიღმა მმართველობის საბჭოთა მანქანა ძველებურად განაგრძობდა არსებობას.[13] მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფოს გაუმართაობის იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც საქართველოს მეორე პრეზიდენტს უწევდა მოღვაწეობა, ჩემი აზრით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ედუარდ შევარდნაძემ სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში გარკვეული წინსვლის მიღწევა მაინც შეძლო, კერძოდ, მან მოახერხა გამსახურდიას მმართველობის დროს წარმოშობილი სტრუქტურების მეტ-ნაკლებად სტაბილურად შენარჩუნება, სსრკ-ს დროიმდელი საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ტრანსფორმაცია, დასავლურ ფასეულობებთან მისი მიახლოება, კონსტიტუციის მიღება და ეტაპობრივი

[13] Jurn. `sazogadoeba da politika~, III, Tb., 2004, gv. 200

გადასვლა პროდასავლურ ორიენტაციაზე, რისი გამოხატულებაც იყო საქართველოს ევროპულ სივრცეში გაწევრიანების პროცესის დაწყება: 1999 წელს ქვეყნის ევროსაბჭოში გაწევრიანება (სომხეთსა და აზერბაიჯანზე 2 წლით ადრე), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა, ნატოსთან ურთიერთობების საფუძვლების შექმნა, და, რაც ყველაზე მთავარია, რუსეთის სამხედრო ბაზების გასაყვანად საფუძვლების მომზადება. შევარდნაძის წარმატებათა ნუსხაში შევიდა აგრეთვე სტაბილური ეროვნული ვალუტისა და კონსტიტუციის შემოღება. ეს უკანასკნელი, თუმცა არასრულყოფილი იყო, რადგანაც დასავლური ნიმუშების პირდაპირი კოპირება მოხდა კანონის შესრულების უზრუნველყოფის გარეშე, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ კანონმდებლობით შეიქმნა სერიოზული ფორმალური საფუძველი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, რამაც განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის რეალური კურსი. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე შევარდნაძის მიერ შედარებითი წესრიგის დამყარება: მან ძირითადად უსისხლოთ დაშლა კერძო არმიები, მათ შირის ,,მხედრიონი“ და ტრანსნაციონალური კომპანიებისა და წამყვანი ქვეყნების ლიდერების დარწმუნება რომ საქართველოს შეუძლია ენერგეტიკული დერეფნის როლის შესრულება (მის დროს აშენდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და დაიწყო მაგისტრალური მილსადენის მშენებლობა კასპიის ზღვიდან ანატოლიამდე და ხმელთაშუა ზღვამდე, თუმცა მისი პროექტი საქართველოს პირველი პრეზიდენტის დროს დამტკიცდა).

პოლიტიკურ მეცნიერებებში შევარდნაძის ტიპის რეჟიმებს შეჯიბრებით ავტორიტარიზმს ან ნახევრად ავტოკრატიულს უწოდებენ (12). ამგვარ რეჟიმებში გადაწყვეტილების მიღება ხდება ვიწრო ჯგუფის მიერ, მაგრამ ისინი ამავე დროს იძლევიან ოპონირების შესაძლებლობას რეპრესიების გარეშე. შევარდნაძის მმართველობისას გაჩნდა ასეთი ოპონირების სტუქტურული შესაძლებლობანი მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების სახით.

მართალია თავისუფალი მასმედიის საფუძვლები გამსახურდიას მმართველობის დროს ჩამოყალიბდა, ისევე როგორც სხვა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები - სამოქალაქო ასოციაციები და პოლიტიკური პაეტიები, მაგრამ მათი სტაბილიზაცია, ლეგიტიმაცია და გარკვეულ დონემდე განვითარება მაინც შევარდნაძის პერიოდში მოხდა.

ამ დროს სიტყვისა და პრესის თავისუფლების ხარისხი საქართველოში ბევრად აღემატებოდა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. პრეზიდენტი შევარდნაძე სატელევიზიო ტელესერიალის ,,დარდუბალას" მთავარ გმირადაც იქნა გამოყვანილი. შევარდნაძე კრიტიკას, რომელიც მძაფრად გადმოედინებოდა სატეევეიზიო არხებიდან, ,,ღირსეულად იტანდა". თუკი ამ კუთხით მოვახდენთ შევარდნაძისა და საქართველოს შემდეგი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის შედარებით ანალიზს, განსხვავება თვალშისაცემია. მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ,,დარდუბალას" ავტორმა რამიშვილმა ისევ დააპირა ანალოგიური სერიალის შექმნა, ოღონდ ამჯერად მთავარი გმირი იმჟამინდელი პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო. პირველივე სერიალის გასვლის შემდეგ მას მიუგზავნეს ფარულკამერიანი პიროვნება, რამიშვილი ფულის გამოძალვის მიზნით ციხეში ჩასვეს, ხოლო სერიალი შეწყდა. 2012 წლის 12 ოქტომბერს ,,ნაცმოძრაობის" მთავრობის უკანასკნელმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა თავისი ერთ-ერთი ბოლო ბრძანებით გაათავისუფლა 20 მილიონი ლარი გადაუხდელი გადასახადისაგან ,, რუსთავი 2", ,,იმედი" და ,,ПИК"-ი, მაშინ როდესაც ,,არალოიალურ" ტელევიზია ,,კავკასიას", რომელსაც რეკლამაც კი არ ქონდა, ორნახევარი ლარის გადახდის დაგვიანებისათვის ისედაც მცირე ქონების ნაწილი დაუყადაღეს. [14]

რამდენადაც შევარდნაძის რეჟიმის მთავარი მახასიათებელი იყო კორუფცია, ამ სიტყვასთან ასოცირებული უარყოფითი განცდები იქცა მოსახლეობაში დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების საუკეთესო საბაბად, რამაც სასათბურე პირობები შეუქმნა ,,მესამე სექტორს". ამ პირობებს კიდევ უფრო ამყარებდა მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის პირდაპირი კავშირი ხელისუფლების ოპოზიციურ ფრთასთან. ამ პროცესის პირდაპირი შედეგი იყო, ის რომ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების აღქმა მოხდა არა მათი შინაარსიდან გამომდინარე, არამედ ეს ღირებულებები შეფასდა როგორც კონკრეტული იარაღი შევარდნაძის რეჟიმთან დაკავშირებული სოციალური უკმაყოფილების დასაძლევად.

[14] გაჩეჩილაძე რ., საქართველო მსოფლიო კონტექსტში, მეორე განახლებული გამოცემა, თბ., 2017, გვ. 523

შევარდნაძემ საფუძველი ჩაუყარა ახალი პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბებას. ე.წ. ,რეფორმატორთა'' (მისი მომავალი პოლიტიკური მესაფლავეების) წინ წამოწევით მან ახალ, თანამედროვეობის ენაზე მოლაპარაკე პოლიტიკურ ელიტას ჩაუყარა საფუძველი.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ბიზნეს-ინტერესთა პლურალიზმიც. რაც არ უნდა ელაპარაკათ შევარდნაძის კლანის ბიზნეს-აქტივობებზე, თუნდაც ამ ოჯახის წრის შიგნით სხვადასხვა ცენტრი არსებობდა. ამგვარად, შევარდნაძის მმართველობის პერიოდი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოს სოციალური და პოლიტიკური მოდერნიზაციისათვის.

ამრიგად, მართალია, შევარდნაძემ ვერ შეძლო თანამედროვე სახელმწიფო ინსტიტუტების სრულყოფილი ჩამოყალიბება, რადგანაც მისთვის სახელმწიფო უფრო თვითმიზანი იყო, ვიდრ საზოგადოებრივი სიკეთეების წარმოების ინსტიტუტი, მაგრამ მისი დამსახურება კონკრეტული სისტემების საფუძვლების ჩაყრაში უდაოა. მმართველობის სისტემის ფუნქციონირების კუთხით საქართველოს მეორე პრეზიდენტმა შეძლო ახალი ტიპის სისტემების წარმოქმნა, როგორებიც იყო:

1. სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სამოქალაქო ინსტიტუტების ჩამოყალიბება;
2. დამოუკიდებელი საფინანსო - ფულადი პოლიტიკა;
3. დამოუკიდებელი მეწარმეობა.

1.4. საქართველოს მესამე პრეზიდენტი - მიხეილ სააკაშვილი: ვარდების რევოლუცია და დემოკრატიული ინსტიტუციების მშენებლობის დაწყება

საქართველოს მეორე პრეზიდენტის gadadgomis Semdgom saqarTveloSi დაიწყო postrevoluciuri da Zalze dinamikuri procesebi. xelisuflebaSi mosulma politikurma Zalebma 2004 wlis 6 Tebervals mTlianad Secvales xelisuflebis danawilebis modeli da, Sesabamisad, saxelmwifo saxelisuflebo mowyoba, sistema saqarTveloSi და საპრეზიდენტო მმართველობა ნახევარადსაპრეზიდენტო, შერეული ტიპის მმართველობით შეცვალეს. ,,ვარდების რევოლუციის“ შემდეგ mmarTvelobis axali modelis SemmuSavebeli da ganmsazRvreli იყო mxolod

momavali xelisuflebis sami xelmZRvaneli - parlamentis Tavmjdomare, premier-ministri და prezidenti. პოლიტიკაში CarTuli sxva Zalebi ver axerxeben procesis SeCerebas an sxva mimarTulebiT warmarTvas.

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ გააკეთა, ეს prezidentis kompetenciuri sazRvrebis konstituciuri გაზრდა იყო, რაც ასახეს კიდეც 2004 wlis 6 Tebervlis sakonstitucio cvlilebebSi, ris Sedegadac, saxelmwifo mmarTvelobis formis cvlilebasTan erTad, gafarTovda saxelmwifos meTauris uflebamosilebebis arealic, gansakuTrebiT aRmasrulebel xelisuflebasTan mimarTebaSi. amas mianiSnebs saqarTvelos konstituciis yvelaze moculobiTi – 73-e muxlic, romelic prezidentis kompetencias exeba da romelmac, 1995 wlidan dRemde, yvelaze meti cvlileba ganicada (giorgi kverenCxilaZe გ., qarTuli konstitucionalizmis novaciebi: prezidentisa da mTavrobis konstituciuri konstruqcia da mimarTebis Taviseburebebi 2010 wlis sakonstitucio reformis WrilSi, https://conlaw.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2013/10/kverenchxilaZe.pdf)

პრეზიდენტის ინსტიტუტი ახლა უკვე „სააკაშვილის თარგზე“ მოიჭრა და მივიღეთ შერეული, იგივე ნახევრად საპრეზიდენტო ან სუპერსაპრეზიდენტო მოდელი.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წლის თებერვალში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებით შემოღებული იქნა პრემიერ-მინისტრის პოსტი და არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ ეს გაკეთდა ზურაბ ჟვანიასათვის. პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრა იმ ძალთა ბალანსით, რაც არსებობდა იმ დროს ვარდების რევოლუციის თვალსაჩინო ლიდერს - სააკაშვილსა და ჟვანიას შორის. აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება განიხილებოდა 2001 წელსაც, მაშინ პარლამენტს მისი მიღების საწინააღმდეგო ბევრი არაფერი ჰქონდა, მაგრამ როგორც კი შევარდნაძემ განაცხადა, რომ პრემიერის პოსტზე ჟვანიას ვარაუდობდა, პარლამენტში საკონსტიტუციო რეფორმა - პრემიერის პოსტის დაკავების ამბიცია მაშინაც ბევრს ჰქონდა, რადგანაც მისი დამკავებელი შევარდნაძის ყველაზე რეალურ მემკვიდრედ მიიჩნეოდა. 2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს

კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით საპრეზიდენტო მმართველობა ნახევრად საპრეზიდენტო, შერეული ტიპის მმართველობით შეიცვლა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში თავისი ადგილი დაიკავა საქართველოს მთავრობამ, როგორც კოლეგიურმა ორგანომ, ქვეყნის პრეზიდენტი გათავისუფლდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის მოვალეობებისაგან, იგი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია. მთავრობა პასუხისმგებელია როგორც პარლამენტის, ისე პრეზიდენტის წინაშე. ამასთანავე, პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა და დაითხოვოს პარლამენტი. მმართალია, ქვეყანა საპრეზიდენტო მმართველობიდან ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე გადავიდა, მაგრამ კონტროლისა და შეკავების მექანიზმები ისე ჩამოყალიბდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შორის ბალანსი აშკარად პრეზიდენტის ძალაუფლების სასარგებლოდ დაირღვა. ამის გამო საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების როლი და მნიშვნელობა საგრძნობლად დაკნინდა, რაც მორიგი პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

სააკაშვილის თქმით, ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება საქართველოს დღევანდელი პირობების გათვალისწინებით სჭირდებოდა, სამომავლოდ კი საქართველოც შეიძლებოდა ევროპულ მოდელზე გადასულიყო, როდესაც „პრეზიდენტები რეალურ ძალაუფლებას არ ფლობენ და ლიდერები პრემიერ-მინისტრები არიან. გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ საქართველო, ალბათ, ევროპულ მოდელს აირჩევს და თუ სიტუაცია დალაგდება, ჩვენს ქვეყანაშიც საპარლამენტო ხელისუფლება და ევროპაში დამკვიდრებული სისტემა ჩამოყალიბდება“ - აღნიშნავდა ბრატისლავაში საქართველოს პრეზიდენტი.[15]

2017 წელს საქართველოში მორიგი საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა. კონსტიტუციის გადასინჯვა 1999 წლიდან მოყოლებული პერმანენტულად მიმდინარეობდა, მაგრამ საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც იწვევდა ძირითადი კანონის ფუნდამენტურ ცვლილებას, 2017 წლამდე, ორჯერ - 2004 და 2010 წლებში განხორციელდა.

[15]მ. მაცაბერიძე, პოლიტიკური პროცესები საქართველოში, თბ., 2007, გვ. 57

სამივე საკონსტიტუციო რეფორმა სახელმწიფო მმართველობის ახალი სისტემის შემოღებას ან არსებულის საფუძვლიან გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის თაობაზე, ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნაში ნათქვამია: „საკონსტიტუციო რეფორმა ამთავრებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემად გარდაქმნის პროცესს და წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციური წყობის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს, ეფუძნება დემოკრატიის პრინციპებს, კანონის უზენაესობასა და ძირითადი უფლებების დაცვას“. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 2017 წელს საქართველოში განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ დაასრულა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გარდაქმნის პროცესი.

თუ შევაჯამებთ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მმართველობის შეცდომებს და მიღწევწებე, შეიძლებ ვთქვათ, რომ **საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის** მმართველობის მთავარი გამოწვევა ინსტიტუციების მშენებლობასა და ჩამოყალიბებაში მდგომარეობდა. მან შეძლო წინამორბედის მიერ შექმნილ სისტემებში კორექტივების შეტანა, რაც თავის მხრივ, ინოვაცია იყო კულტურულ დონეზე, რადგან ძლიერი ტრადიციული საზოგადოებრივი სტრუქტურის პირობებში, როდესაც წინამორბედთა შემოქმედება კულტურულად ჯერ კიდევ ხელშეუსებელი იყო, სააკაშვილის პოლიტიკური აქტივობა ასეთი ხელშეხების პრეცენდენტს და პერსპექტივებს ქმნიდა.

სახელმწიფომ ძირითადი ფუნქცია, რომელიც ფიზიკურ ძალადობაზე ლეგიტიმური მონოპოლიის დამყარების ვებერისეულ თეორიაში მდგომარეობს, სრული სახით მხოლოდ სააკაშვილის მმართველობის დროს შეიძინა. არაა შემთხვევითი, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პირველ ნაბიჯებს შორის იყო სწორედ პოლიციისა და ჯარის რეფორმა, რომლითაც ვებერის ზემოთ მოყვანილი დეფინიციის მიხედვით იწყრბა სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი. სწორედ შეუდარებლად ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, შეუდარებლად ძლიერი პოლიტიკური ნება და საზოგადოებისათვის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარისა და შესაძლებლობების რწმენის დაბრუნება განასხვავებდა სააკაშვილის რეჟიმს შევარდნაძის რეჟიმისაგან. მის პერიოდში ფასეულობათა კატეგორიაზე

მსჯელობიდან იწყება გადასვლა საჯარო საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტაზე. დაიწყო საზოგადოებაში სახელმწიფოს სიმბოლიკისადმი - ჰიმნი, დროშა და გერბი, პატივისცემის კულტურის დამკვიდრება და დასავლეთის სტანდარტების შესაბამისად სახელმწიფოს მშენებლობაზე - სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით სამოქალაქო ნაციონალიზმზე დაფუძნებული მულტიკულტურალური ერთობის მშენებლობა, რაზედაც საქართველოს მეორე პრეზიდენტის საჯარო გამოსვლებში არაერთხელ ყოფილა ყურადღება გამახვილებული და აქცენტირებული. აღსანიშნავია, ასლან აბაშიძის სისტემის უსისხლო დამხობა აჭარაში და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისაკენ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი, შიდაპოლიტიკური ცხოვრების შედარებითი სტაბილიზაცია და მისი გადაყვანა რუტინულ რეჟიმში: შევარდნაძის დამახასიათებელი კორუფციის სტილისა და კრიმინოგენური სიტუაციის ნეიტრალიზაცია და სტაბილიზაცია, უკომპრომისო ბრძოლა ქურდულ მენტალიტეტთან, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, საგადასახადო მოსაკრებლების შეგროვებასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევა, ეკონომიკური მაჩვენებლების თვალსაჩინო გაუმჯობესება, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 2007 წელს 12,3 პროცენტი შეადგინა (14), თუმცაღა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის შევსება სააკაშვილის მმართველობის პირობებში ასოცირდებოდა სახელმწიფო რეკეტთან. რაც, ალბათ, ყვლაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური სისტემის შექმნის თვალსაზრისით, ამ პერიოდში იწყება რეფორმების გატარება რიგ სფეროში. განსაკუთრებული წარმატების ხარისხის მიხედვით გამოვარჩევდი რეფორმებს განათლების სფეროებში, რომლის წყალობითაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღების შედეგად საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში პრაქტიკულად მოისპო მექრთამეობა, რაც საბჭოთა პერიოდის და პოსტ საბჭოთა ქვეყნების უმძიმესი დამღა იყო და ბევრგან დღესაც არის; და სამხედრო სფეროში. გაუქმდა ავტოინსპექცია - საბჭოთა გადმონაშთი, ძველი პოლიციის ნაცვლად შეიქმნა ამერიკული ტიპის, უკეთ ანაზღაურებული საპატრულო პოლიცია, რომელიც დაკომპლექტდა კონკურსის შედეგად შერჩეული ახალი კადრებით და დაიწყო თანამედროვე არმიის მშენებლიბა.

ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეული იყო, რადგანაც საჭიროებდა სახელმწიფოს მხრიდან ბევრი არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღებას, ამიტომ სააკაშვილის ხელისუფლებას საზოგადოებრივი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად და ლეგიტმაციის შესანარჩუნებლად უწევდა საკუთარი წარმატებების გაპიარება და საზოგადოებისათვის პოპულისტული ალტერნატიული გადაწყვეტილებისა და სანახაობის შეთავაზება.

პლუტარქე რჩეულ ბიოგრაფიებში წერდა: ტრიუმფის გადახდის შემდეგ, კეისარმა ჯილდოები დაურიგა თავის მეომრებს, ხოლო ხალხს ლხინი და სანახაობები გაუმართა~. იმას, რაც კეისარმა გააკეთა, პანემ ეტ ცრიცენსეს (პური და სანახაობა) ერქვა და ფრიად გავრცელებული პოლიტიკური აქცია იყო ძველ რომში. გასაოცარი უნარი აღმოაჩნდა მუქთად დარიგებულ პურს და უფასოდ ნანახ გლადიატორთა ბრძოლას: ხალხის ყურადღება მყის ჩამოშორდებოდა მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს, ხოლო ესა თუ ის პოლიტიკოსი როგორიც არ უნდა ყოფილიყო პოპულარული ხდებოდა. რომაელთა ეს გენიალური მიგნება, სხვადასხვანაირად, მაგრამ, არაერთგზის არის განმეორებული და მისი მომწყობნი ყოველთვის მიზანს აღწევდნენ.

ბრბოზე ზემოქმედების პრინციპი „პური და სანახაობა“ ორი ათასი წელი ძალაში იყო. საქართველოში მან რადიკალური ცვლილებები განიცადა და საქართველოს პირველი და მეორე პრეზიდენტის მმართველობის დროს არც პური იყო და არც სანახაობა. საქართველოს მესამე პრეზიდენტმა უხვად შემოგვთავაზა სანახაობა ყბადაღებული ტელე შოუები, კორუმპირებული პირებისა და პოლიტოპონენტთა უკანონოდ აყვანილი დაპატიმრების პროცესში მტკიცებულებათა არასაკმარისად არსებობის პირობებში და ანტიკორუფციული პოლიტიკის დროს უხეში საკანონმდებლო დარღვევებით ყოფილ მაღალჩინოსანთა ქონების ჩამორთმევები, რასაც საზოგადოებაში არავითარი პროტესტი არ მოჰყოლია სააკაშვილის მოღვაწეობის საწყის ეტაპზე მაინც, ვინაიდან პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში ეკონომიკური სტაგნაციის პერიოდში დიდი იყო მკაცრი ხელის მოთხოვნილება, რამაც სააკაშვილის ხელისუფლების ავტოკრატიული გადაწყვეტილებისაკენ გადახრა საზოგადოების მიერ ადვილად მისაღები გახადა, ხოლო თავად ხელისუფლება თვითშეზღუდვაზე ზრუნვით არ დაავალდებულა.

ამერიკელი პოლიტოლოგი მაიკლ ჩეჩირე თავის სტატიაში ,,საქართველოს გაკვეთილები დემოკრატიული განვითარებისათვის“ წერდა: ,,საქართველოს მოდელი, როგორც ჩანს, უკეთ აღიწერება არა როგორც ,,ტრანზიციული“, არამედ სტივენ ლევიცკისა და ლიუკენ უეის შემოთავაზებული ტერმინით - ,,კონკურენტული ავტორიტარიზმი“. ეს ნიშნავს, რომ (საქართველოში ლიბერალური დემოკრატიის თანმხლები ნიშნები - ოპოზიციური პარტიები, არჩევნები, ცხელი დებატებიც კი - დამყნობილი იყო ყოვლისმომცველ პოლიტიკურ და უშიშროების აპარატზე, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ერთპარტიული მმართველობა”.[16]

ხელისუფლება ერთპარტიული მმართველობის აუცილებლობას რეფორმების პროცესის სპეციფიკით ხსნიდნენ და ამ მოტივით ცდილობდნენ გაემართლებინათ რიგი არადემოკრატიული პროცესები:

ავტოკრატიული გადაწყვეტილებების მიღება, რამეთუ რეფორმების გატარება დემოკრატიული მეთოდებით გაცილებით რთულია, კანონის საკუთარ თარგზე მორგების პრაქტიკის გამოყენება (რომელსაც ვერ აცდა საქართველოს ვერცერთი ხელისუფლება), ხელისუფლების შტოებს შორის განაწილების სისტემის აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ დარღვევა და საპარლამენტო ხელისუფლების როლისა და ფუნქციების დაკნინება, ადამიანების უფლებათა დარღვევა და საჯარო პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა თუნდაც განხილვის ეტაპზე არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენელთა აზრის გაუთვალისწინებლობა. მოგვიანებით, განსაკუთრებით კი რუსეთ _ საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც საქართველომ დაკარგა ტერიტორიების ის ნაწილიც, რომელსაც აქამდე აკონტროლებდა: დიდი და პატარა ლიახვის ხეობა, ქსნის ხეობა და კოდორის ხეობა, სააკაშვილის პოპულისტულმა მოდერნისტულმა პროექტმა საზოგადოება გააღიზიანა და საქართველოში პოლიკური პროცესები დაძაბა. მან ვერ შეძლო თვითტრანსფორმაციის განხორციელება და, შესაბამისად, ყველა ავტორატიული რეჟიმის მსგავსად, მანაც მიიღო თავისი პოლიტიკური საზღაური.

[16] Jurn. `sazogadoeba da politika~, III, Tb., 2004, gv. 276

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად შეცდომებისა, პოლიტიკური სისტემების შექმნის რაოდენობრივი მაჩვენებლებით სააკაშვილი აშკარად ლიდერობს მის წინამორბედებთან შედარებით: მან შექმნა 2003-2006 წლებში იმდენი ახალი სისტემა, რამდენიც მისმა წინამორბედებმა თავ-თავისი მმართველობის პერიოდში და შეძლო სახელმწიფოს რეალური ფუნქციობის რეჟიმში გადაყვანა. კერძოდ, სააკაშვილმა შექმნა:

1. თვითმმართველობის სისტემა;
2. დამოუკიდებელი სამხედრო ძალების სისტემა;
3. განათლების დამოუკიდებელი სისტემა.

თავი მეორე

ცვლილებები საპრეზიდენტო ინსტიტუტში - გამოწვევები და პერსპექტივები

2.1. საპარლამენტო რესპუბლიკის ქართული კონტექსტი

საპრეზიდენტო მმართველობის პარადოქსია, რომ იგი იძლევა ძალაუფლების პერსონალიზაციის საშუალებას. ტრანზიციის პერიოდის ქართულ სახელმწიფოში არ არსებობდა სტაბილური სოციალური სისტემა, რასაც თან ერთვოდა მასების კონსერვატიზმი. ხოლო „იქ სადაც რესპუბლიკური ტრადიცია სუსტია" - წერდა ამერიკელი პოლიტოლოგი ა. ჰაგსლეი, „ყველაზე საუკეთესო კონსტიტუციებიც კი ვერ დააბრკოლებს ამბიციურ პოლიტიკოსებს... აჰყვნენ ხელისუფლების ხელში ჩაგდების ცდუნებას".[17]

ამ გარემოებების გათვალისწინებით შევიდა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში და შერეული მოდელი შეიცვალა საპარლამენტო მოდელით, სადაც

[17] ვ. შუბითიძე, ა. ბუცხრიკიძე, იმიჯოლოგია, თბ., 2009, გვ.173

პრეზიდენტს სიმბოლური ფუნქციებიღა დარჩა, რათა ნაკლები ყოფილიყო ქართველი ,,ამბიციური პოლიტიკოსებისათვის ხელისუფლების ხელში ჩაგდების ცდუნება“. შესაბამისად, საქართველოს მეოთხე და მეხუთე პრეზიდენტებს - გიორგი მარგველაშვილსა და სალომე ზურაბიშვილს კონსტიტუციურად უფლებამოსილებანი შეეზღუდათ,, მაგრამ საპარლამენტო მოწყობამ ვერ მოხსნა ძალაუფლების პერსონალიზაციის პრობლემა. ის საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე გადასაწყვეტ ამოცანათა შორის კვლავ ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება.

ჩემი აზრით, ამის მიზეზი ქართული საზოგადოების პოლიტიკური კულტურის დაბალი დონეა, რომლებმაც ვერ დაძლია ერთგვარი ფროიდისტული ხასიათის ამბივალენტური კომპლექსი - საქართველოს პრეზიდენტთა მმართველობის ყველა ეტაპზე თანამედროვე ეტაპის ჩათვლით, საქართველოს პოლიტიკური სივრცე იყო პერსონიფიცირებული. ამიტომ ამ მოცემულობის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის ამგვარი დასუსტებით საქართველოში პერსონიფიცირების პრობლემა კი არ მოიხსნება, არამედ ის გადაინაცვლებს არაფორმალურ სივრცეში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენები იმის შესახებ, რომ თითქოს საპარლამენტო მმართველების მოდელში პრეზიდენტი უნდა იყოს ძალიან შეზღუდული და მას აუცილებლად პარლამენტი ან სხვა რომელიმე ორგანო უნდა ირჩევდეს, მცდარია. რეალურად საპარლამენტო მოდელის მქონე ქვეყნებში უმრავლეს შემთხვევაში პრეზიდენტს სწორედ მოსახლეობა ირჩევს.

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო უწყების ფაქტბუქის უახლეს მონაცემების[18] თანახმად

1. [18] ლებანიძე ბ., საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ვინ უნდა ირჩევდეს პრეზიდენტს? მითები საპარლამენტო მმართველობის შესახებ, http://gip.ge/ge.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში 90-ზე მეტი საპარლამენტო და 16 ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემის მქონე ქვეყანა არსებობს. ევროკავშირის 27 ქვეყნიდან უმრავლესობაში – 22 ქვეყანაში სწორედ საპარლამენტო სისტემის მოდელი ფუნქციონირებს, 4 ქვეყანას ნახევრად-საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა აქვს, ხოლო საპრეზიდენტო სისტემა მხოლოდ კვიპროსში მოქმედებს.

საპარლამენტო მმართველობის მქონე 22 ქვეყნიდან პრეზიდენტის ინსტიტუტი 16 ქვეყანაში არსებობს. დანარჩენი 6 ქვეყანა – ბელგია, დანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ესპანეთი და შვედეთი – მონარქიებს წარმოადგენს და შესაბამისად წარმომადგენლობით ფუნქციებს ამ ქვეყნებში მონარქი ითავსებს. დარჩენილი 16 ქვეყნიდან უმრავლეს შემთხვევაში პრეზიდენტს სწორედ მოსახლეობა ირჩევს - პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესი მხოლოდ 7 ქვეყანაში მოქმედებს, აქედან 6 მათგანში პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს, ხოლო გერმანიაში, უშუალოდ პრეზიდენტის ასარჩევად შექმნილი ორგანო, რომელიც პარლამენტის წევრებისა და ფედერალური საბჭოების წარგზავნილი დელეგატებისგან შედგება.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ევროპაში მმართველობის საპარლამენტო მოდელის მქონე (და საპარლამენტო მოდელთან მიახლოებული) სახელმწიფოთა დიდ ნაწილში სახელმწიფოს მეთაური პირდაპირი წესით აირჩევა. კერძოდ, სახელმწიფოს მეთაურის პირდაპირი არჩევის წესი ხორციელდება ერთპალატიან უნიტარულ ქვეყნებში: ბულგარეთში, ისლანდიაში, მაკედონიაში, მალტაში, მოლდავაში, მონტენეგროში, სერბეთში, სლოვაკეთში, ფინეთსა და ხორვატიაში.

ასევე ორპალატიან უნიტარულ ქვეყნებში: ირლანდიაში, სლოვენიაში, პოლონეთში, ჩეხეთში და ფედერაციულ ავსტრიაში. მიუხედავად იმისა, რომ ორპალატიანი პარლამენტის ქვეყნებში პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევის შემთხვევაში დემოკრატიულობის შედარებით მაღალი ხარისხი იქნებოდა შენარჩუნებული, ამ ქვეყნებმა პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი აირჩიეს, რადგანაც ჩათვალეს, რომ ამ დროს პრეზიდენტს აქვს უფრო მეტი რესურსები რომ შეასრულოს მისი პირდაპირი მოვალეობა, რადგანაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, პრეზიდენტი არის ცალკე

მდგომი ფიგურა, რომელიც ხელისუფლების არცერთ შტოს არ მიეკუთვნება და აქვს ერთგვარი არბიტრის როლი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მთავრობისა და პარლამენტის შესაძლო დაპირისპირების პირობებში. სახელმწიფოს მეთაურმა, პოლიტიკური კრიზისისა და პარტიული დაპირისპირების პირობებში, არბიტრის ფუნქცია რომ შეასრულოს, სასურველია, პრეზიდენტის ლეგიტიმაციას პარლამენტისაგან დამოუკიდებელი საფუძველი ქონდეს სახალხო მხარდაჭერის სახით. მხოლოდ პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი შეძლებს გამოავლინოს პრინციპულობა და საჭიროების შემთხვევაში გაბედოს პარლამენტის წინაშე საწინააღმდეგო პოზიციის დაცვა (პარლამენტთან დაპირისპირება).

ევროპული ქვეყნების პოლიტიკური გამოცდილების გათვალისწინებით, პოლიტიკურ ცდომილებებთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა პრეზიდენტის არჩევის პირდაპირი წესი არის იმ ქვეყნებში, სადაც პარლამენტი არ არის ორპალატიანი, სასურველი იყო ეს გამოცდილება საქართველოშიც ყოფილიყო გაზიარებული. საქართველოში თანამედროვე პოლიტიკური მოცემულობის შემთხვევაში - დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის, მათდამი ნაკლები პოლიტიკური ნდობის არსებობისა და სახელისუფლო პარტიის სიძლიერის გ ათვალისწინებით, ჩვენი აზრით, არ არის სასურველი პირდაპირი დემოკრატიის შესუსტება.

საქართველოში, ჩვენი ქვეყნის თავისებურებების, ადგილობრივი გამოცდილებისა და იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რაც თან ახლავს ერთპალატიანი პარლამენტის, პოსტსაბჭოთა პრაქტიკის და, შესაბამისად, დაბალი დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის არსებობას, პრეზიდენტის არჩევის არაპირდაპირი წესი, ვიქრობთ, ახალისებს არაფორმალურ მმართველობას.

სწორედ ამ სახის პრობლემის წინაშწე აღმოვჩნდით საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის - გიორგი მარგველაშვილისა და მეხუთე, მომქმედ პრეზიდენტის - სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობის დროს. მათ კომპეტენციები კონსტიტუციურად ძალიან შეეზღუდათ და პრეზიდენტის ინსტიტუტმა მთლიანად ფასადური სახე მიიღო. რეალურად, ეს პერიოდი შეიძლება დავახასიათოთ როგორც ბიძინა ივანიშვილის მმართველობის პერიოდი. თუკი ჩვენ დავაჯამებთ მისი მმართველობის პერიოდის

შეცდომებსა და მიღწევებს, შეიძლება ვთქვათ, რომ **ბიძინა ივანიშვილის მმართველობის** პეროიოდში ფასადურად ხელისუფლებამ მოახერხა პოლიტიკური სისტემისათვის დემოკრატიული შეფერილობის მიცემა, რაც გამოიხატა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებით, კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით, რომლის მიხედვით საქართველო გადავიდა საპარლამენტო მოწყობაზე და კონსტიტუციით იქნა განსაზღვრული ჩვენი ქვეყნის საგარეო პრიორიტეტად ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციში საქართველოს სრული ინტეგრაცია (მუხლი 78. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუტქურებში ინტეგრაცია)[37].

რაც შეეხება შეცდომებსა და გამოწვევებს - თანამედროვე პირობებში ოფიციალურ სტატისტიკაში ფიქსირებული ეკონომიკური ზრდა არავითარ გავლენას არ ახდენს მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების დონეზე; ეკონომიკაში კვლავ რჩება ,,კრიშების" სისტემა და კლანურობა, არაფორმალური მმართველობის ნიშნები და სხვ. სათანადო დონეზე ვერ ხორციელდება სტაბილური პარტიული სისტემის, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის, ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემისა და ძლიერი ეკონომიკური პროგრამების შექმნა, რასაც დაემატა თანამედროვე ეტაპზე კოვიდ პანდემიისაგან გამოწვეული უამრავი სხვადასხვა ტიპის პრობლემები და გამოწვევები.

---

[37]. საქართველოს კონსტიტუცია.https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=3

2.2. საქართველოსა და გერმანიის პრეზიდენტის ინსტიტუტის ქეისები - შედარებითი ანალიზი

საპრეზიდენტო ინსტიტუტების შედარებითი ანალიზისათვის ევროპული ქვეყნებიდან ავირჩიე გერმანია, რადგანაც გერმანიისა და საქართველოს კონსტიტუციებში ჩვენთან გახორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად პრეზიდენტებს მსგავსი უფლებამოსილება გააჩნიათ.

გერმანიის პრეზიდენტის როლი, ისევე როგორც საქართველოს პრეზიდენტისა საკონსტიტუციო ცვლილებების შემდგომ, ძირითადად, ფორმალურია და საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ძალაუფლება არ გააჩნია. საქართველოში, ისევე როგორც გერმანიაში, პრეზიდენტი არ უნდა იყოს პოლიტიკოსი, არ უნდა იყოს ხარიზმატული ლიდერი, ის უნდა იყოს აკადემიური ტიპის მოღვაწე, არბიტრი, გააჩნდეს ისეთივე სტატუსი და უფლებამოსილებანი, როგორიც აქვს პრეზიდენტს კლასიკური საპარლამენტო მოწყობის ქვეყანაში - გერმანიაში. თუმცაღა ვენეციის კომისიის აზრით, 2009-2010 წლის საქართველოში განხორციელებული რეფორმა არის „საყურადღებო ნაბიჯი კარგი მიმართულებით“[19] პრეზიდენტის ინსტიტუტის მხრივ, ამ რეფორმამ სერიოზულად შეასუსტა იგი. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვთ პრეზიდენტს ჩამოეჭრა რიგი უფლებამსილებანი, პრეზიდენტს აღარ გააჩნია აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ფორმალურ-იურიდიული, კონსტიტუციური სტატუსი. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში,[20]აგრეთვე საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. პრეზიდენტის ფუნქციები და უფლებამოსილებები პრეზიდენტის კონსტიტუციურ სტატუსთან უნდა იყოს შესაბამისობაში, ამიტომ სახელმწიფოს მეთაურის სტატუსიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტმა უნდა შეასრულოს ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტისა და სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირების უზრუნველმყოფი არბიტრის ფუნქციები. საქართველოს პრეზიდენტი აღიქმება, როგორ „საქართველოს ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი“, რომელიც უკვე აღარ „წარმართავს და განახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას“.[21]მისი სტატუსიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში უნდა გააჩნდეს სხვა განშტოებებზე გავლენისა და ზემოქმედების მექანიზმები, მაგრამ არ უნდა ჰქონდეს ამ

[19]ვენეციის კომისიის მოსაზრების პროექტი 543/2009 (CDL) (2010)

[20]საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ, მუხლი 69

[21]ვენეციის კომისიის 2010 წლის 15 ოქტომბრი სდასკვნა, CDL-AD(2010)028, პუნქტი 35

განშტოებათა ფუნქციების განხორციელების ძირითადი უფლებამოსილებები. პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს პირდაპირი საკანონმდებლო უფლებამოსილებები. პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. პარლამენტზე ზეგავლენის ერთ-ერთ მექანიზმად შეიძლება განხილული იყოს პრეზიდენტის შეყოვნებითი (სუსპენსიური) ვეტოს უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი რედაქციის მიხედვით ეს ვეტო, არსებულთან შედარებით უფრო „რბილია“, მისი გამოყენებით ან გამოყენების მუქარით, პრეზიდენტმა შეიძლება ააცილოს ქვეყანას ნაჩქარევად ან ცუდად გააზრებული კანონის მიღება. თუმცაღა ამ ეტაპზე პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადებას უფრო სიმბოლური ხასიათი მიეცა, მაგრამ იმედი გვაქვს, საპრეზიდენტო ინსტიტუტის დემოკრატიული ტრადიციების განვითარებასთან ერთად, ვეტო ქმედითი მექანიზმი გახდება და მისი გადალახვა პარლამენტის მიერ ასე ერთსულოვნად ვერ მიიღწევა. მაგალითისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ დე ლანო რუზველტმა 631-ჯერ გამოიყენა ვეტო და კონგრესმა მხოლოდ 9-ჯერ მოახერხა მისი გადალახვა, ბილ კლინტონმა 38-ჯერ და კონგრესმა მხოლოდ ორჯერ გადალახა მისი ვეტო.[22]

გამომდინარე პრეზიდენტის ახალი სტატუსიდან – იგი აღარ არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, შესუსტდა მისი წამყვანი როლი, როგორც საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის, აგრეთვე განხორციელების სფეროში და მისი აქტივობა ამ სფეროში ხელისუფლებისუფრო მეტად თანამშრომლობის და არა შეკავება-გაწონასწორების კომპონენტით არის ნაკარნახევი. ეს გამოიხატება იმაში, რომ პრეზიდენტი სხვა სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით ახორციელებს. აგრეთვე, მთავრობასთან შეთანხმებით მას შეუძლია, დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება. თუ ადრე საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივითა და პარლამენტის თანხმობით ნიშნავდა საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ახალი რედაქციის მიხედვით აღარ არის საჭირო პარლამენტის თანხმობა, მაგრამ დასანიშნად ან გასათავისუფლებად კანდიდატურებს მას მთავრობა წარუდგენს. დამოუკიდებლად

[22]Pierre Ractet et Ferdinand Melin-Soucramanien. Droit constitutionnel. Paris, Dalloz, 2009, p. 228

საქართველოს პრეზიდენტი ვერც სხვა სახელმწიფოთა ელჩებისა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენელთა აკრედიტაციას მიიღებს – ამისათვის სავალდებულოა მთავრობასთან წინასწარი შეთანხმება. თანამდებობის პირთა დანიშვნის, გათავისუფლების და ასარჩევად, დასანიშნად თუ დასამტკიცებლად წარდგენის სფეროში პრეზიდენტის კომპეტენციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განიცადა და მისი დისკრეციული უფლებები საკმაოდ მნიშვნელოვნად გამოიყურება, რაც მას გავლენისა და ზეგავლენის გარკვეულ საშუალებებს აძლევს. ესენია: – პრეზიდენტის უფლება, დანიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები; – უფლება, დანიშნოს ან თანამდებობიდან გადააყენოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.[23]

რადგანაც პრეზიდენტის ფუნქციები უნდა გამომდინარეობდეს მისი სტატუსიდან, უფლებამოსილებები – ფუნქციებიდან და, შესაბამისად, სამივეს შორის უნდა არსებობდეს სისტემური ურთიერთკავშირები, იცვლება პრეზიდენტის არჩევის წესიც: ნაცვლად პირდაპირი და საყოველთაო არჩევნებისა, პრეზიდენტი აიჩევა კოლეგიის 300 წევრის მეშვეობით, რათა მას არ ქონდეს კონსტიტუციაში გაწერილი უფლებების შეუსაბამო ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი. კოლეგიის მიერ პრეზიდენტის არჩევის არაპირდაპირი ფორმა მოქმედებს გარმანიაშიც, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, მათ კანონის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული საპრეზიდენტო ინსტიტუტის ფუნქციონირების საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნიათ, რომელსაც კანონმორჩილი გერმანელები პატივს სცემენ.

გერმანიაში ბუნდესპრეზიდენტი არის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მეთაური და პირველი პირია, თუმცა ნაკლები პოლიტიკური გავლენა აქვს ბუნდესკანცლერთან შედარებით. წარმოადგენს ქვეყანას საერთაშორისო ურთიერთობებში. მისი კომპეტენციის ფარგლებში შედის აგრეთვე საშინაო პოლიტიკის საკითხები: როგორიცაა ფორმალური მხარდაჭერა საკანონმდებლო აქტების მიღებისას; მთავრობების,

[23]სტატიათა კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, სუპერ საპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, თბ., 2013., გვ. 18

მინისტრების, მოსამართლეების და სხვათა დანიშვნა; პრეროგატივა პარლამენტის დათხოვნის და ახალი არჩევნების დანიშვნის. აირჩევა 5 წლის ვადით სპეციალურად მოწვეული ფედერალური კრების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ მისი უფლებები შეკვეცილია, ჩვენი რეალობისაგან განსხვავებით, გერმანიის პრეზიდენტს საზოგადოებრივი პროცესების გააქტიურებისა და საჯარო სივრცეში ღია დისკუსიის წამოწყების გზით საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა მაინც შეუძლია, რადგანაც მათ საპრეზიდენტო ინსტიტუტის ფუნქციონირების საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნიათ - პირველი ბუნდესპრეზიდენტი თეოდორ ჰოისი იქნა არჩეული 1949 წელს. კანონმორჩილი გერმანელები პატივს სცემენ პრეზიდენტის ინსტიტუტს, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია კანონის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის ევროპულ ღირებულებებზე. გერმანელები, ერთი მხრივ, პატივს სცემენ პრეზიდენტის ინსტიტუტს და პრეზიდენტის პოლიტიკურ მესიჯებზე ხშირ შემთხვევაში აკეთებენ სწორებას, მაგრამ, მეორე მხრივ, პრეზიდენტს არ პატიობენ კანონგადაცდენას, როგორც ვულფის შემთხვევაში მოხდა, და ეროვნული ღირსების შელახვას, როგორც ეს ჩათვალეს კოლერის დროს. გერმანიისაგან განსხვავებით, საქართველო ჯერჯერობით, კისინჯერის პერიფრაზას თუ მოვახდენთ, ის ქვეყანაა, სადაც აპატიმრებენ და პასუხს თხოვენ მხოლოდ პოსტის დატოვების შემდეგ. გერმანიის მეცხრე ბუნდესპრეზიდენტს ჰორსტ კოლერს, თანამდებობის დატოვება საკამათო კომენტარის გამო მოუხდა, რომელიც ავღანეთში გერმანული არმიის (ბუნდესვერის) როლს ეხებოდა. ავღანეთში ვიზიტის შემდეგ, მან გააკეთა განცხადება, რომლითაც გამოკვეთა არმიის როლი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვაში. მისი თქმით, გერმანიის სამხედრო მისიები, საზღვარგარეთ ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს იცავდა. გერმანიის ერთ-ერთი რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში კელერმა თქვა, რომ ექსპორტზე ორიენტირებული სახელმწიფოსთვის, როგორიც გერმანიაა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე,ზოგჯერ აუცილებელია შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ გაგზავნა. ქვეყნის ინტერესების მაგალითად მან თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა დაასახელა. პრეზიდენტის მილიტარისტული განცხადება გერმანიაში აღიქვეს,როგორც მოწოდება ბიზნესინტერესების მხარდაჭერისთვის

ომში ჩართვისაკენ, რამაც ქვეყნის მემარცხენე ძალებში პროტესტი გამოიწვია. კელერი აგრესიული დიპლომატიის პროპაგანდაში დაადანაშაულეს. გასათვალისწინებელია, რომ მმართველი პარტიების არც ერთი წარმომადგენელი არ გამოექომაგა პრეზიდენტს. თვით ანგელა მერკელსაც კი, რომელიც კელერის მოკავშირედ მოიაზრებოდა, ამ განცხადებაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

პრეზიდენტის პრეს მდივნის თქმით, კელერის განცხადება არასწორად გაიგეს. თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერაში ის გულისხმობდა აფრიკის რქის ნახევარკუნძულთან ჩასატარებელ სამხედრო ოპერაციას სომალელი მეკობრეების წინააღმდეგ, და არა ავღანეთის ომს.

გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის განცხადებით, მისთვის პრეზიდენტის გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა და, მცდელობის მიუხედავად, ვერ გადააფიქრებინა პოსტის დატოვება.

გერმანიის პრეზიდენტი გადადგა, ჟურნ. ტაბულა, 2010 წლის 7ივნისი,
http://www.tabula.ge/ge/story/52660-germaniis-prezidenti-gadadga

მეათე პრეზიდენტის კრისტიან ვულფის, გერმანიის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის ვადა ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა. სულ მალე გაპრეზიდენტებიდან ვულფი ერთდროულად რამოდენიმე სკანდალში აღმოჩნდა გარეული. 2011 წლის ზაფხულში იგი ცდილობდა აეძულებინა ერთ-ერთი გაზეთი არ გამოექვეყნებინა სტატია, რომელიც ეხებოდა პრეზიდენტის ბავშვობას და მის ურთიერთობას საკუთარ დასთან. გაზეთის რედაქცია ირწმუნება, რომ სტატიის ავტორი დაიბარეს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, იქ კი მას პირადად პრეზიდენტმა უთხრა, რომ სტატიის გამოქვეყნებას ავტორისთვის და გაზეთისთვის არასასიამოვნო შედეგები მოჰყვებოდა. აღნიშნულის მიუხედავად სტატია გამოაქვეყნდა. მეორე პოპულარული გერმანული გაზეთის ბილდ-ის რედაქციამაც დაადასტურა, რომ კრისტიან ვულფი შეეცადა გაზეთისთვის ხელი შეეშალა

პუბლიკაციის გამოქვეყნებაში. ამჯერად ლაპარაკი იყო 2008 წელს ვულფის მიერ ნაცნობი ბიზნესმენის მეუღლისგან 500 000 ევროს ოდენობის შეღავათიანი კრედიტის მიღებაზე (2008 -ში ვულფი ქვემო საქსონიის მთავრობის მეთაური იყო). თან დამატებით დეკემბრის შუა რიცხვებში გაზეთის მთავარ რედაქტორს თითქოსდა პირადად პრეზიდენტმა გაუგზავნა შეტყობინება, რომ პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში ბილდ-ის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართავდა.[24] ბოლო სკანდალი ეხებოდა ქვედა საქსონიის პრემიერობის დროს ძალაუფლების გადამეტებასა და ადგილობრივ ბიზნესმენებთან შეუფერებელ კავშირებს. გამომძიებლებმა ბუნდესტაგს კორუფციული ბრალდებების გამო მისი იმუნიტეტის შეჩერება მოსთხოვეს. გერმანულ მედიაში მის პატივსაცემად ნეოლოგიზმიც გაჩნდა, რომელიც აშკარა ტყუილის თქმის გარეშე არაპირდაპირობას აღნიშნავდა. სამარცხვინო დასასრულის გარდა, კრისტიან ვულფის პრეზიდენტობა ღირსშესანიშნავი იქნება მისი განცხადებით. პოლიტიკოსმა თქვა, ისლამი ქრისტიანობასთან და იუდაიზმთან ერთად გერმანიის ნაწილიაო. ამით ვულფმა მულტიკულტურალიზმის მომხრეთა სიმპათიები და კონსერვატორთა რისხვა დაიმსახურა. საბოლოოდ იგი კორუფციული სკანდალის გამო გადადგა. მეთერთმეტე პრეზიდენტი ყოფილი დისიდენტი, პროტესტანტი პასტორი და ადამიანის უფლებების აქტივისტი იოაჰიმ გაუკი ერთ-ერთი თვალსაჩინო პირი იყო მშვიდობიან საპროტესტო მოძრაობაში, რომელმაც ბერლინის კედლის დაცემაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ გაუკი ფედერალურ სააგენტოს ჩაუდგა სათავეში. ეს უწყება აღმოსავლეთ გერმანიის სადაზვერვო სამსახურის (შტაზი) არქივების კვლევას შეუდგა. მან ძველი რეჟიმის წარსული დანაშაულების გამოაშკარავებით სამართლიანობისთვის მებრძოლის რეპუტაცია მოიპოვა. იოაჰიმ გაუკი ცნობილია თავისი კრიტიკული დამოკიდებულებით რუსეთის ხელისუფლებისადმი. 2012 წელს პრეზიდენტად არჩევის შემდგომ ის ოფიციალური ვიზიტით ერთელაც არ წვევია რუსეთის ფედერაციას, 2012 წლის ივნისში ვლადიმერ

[24] i. Ggunia. Germaniis Semdegi pastori prezidenti, ჟურნ. ტაბულა, 2012 წლის 4 იანვარი, http://www. google.com/search?q.

პუტინთან დაგეგმილი შეხვედრა კი გადატვირთული გრაფიკის მოტივით ჩაშალა. იგი პროტესტის ნიშნად არც სოჭის ზამთრის ოლიმპიადას არ დაესწრო რუსეთში 2014 წელის ვთებერვალში. მისი ბოიკოტის მიზეზი იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა და ოპოზიციის შევიწროვება. გერმანიის პრეზიდენტის, პროტესტის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთში რამდენიმე თვის წინ მიღებული კანონიცაა, რომელიც "ჰომოსექსუალობის პროპაგანდას" კრძალავს. გაუკი,თავის წიგნში, უმთავრეს პოლიტიკურ ფასეულობად თავისუფლებას აღიარებს. იგი იცავს კაპიტალიზმს, როგორც სისტემას, რომელსაც საკუთარი შეცდომების გამოსწორება შეუძლია. ანტიკაპიტალისტებს პოლიტიკოსი რომანტიკოსებს უწოდებს. მერკელს გაუკთან პირადი მეგობრობა და კომუნისტურ სახელმწიფოში ცხოვრების გამოცდილება აკავშირებს, ასე რომ, იოაჰიმ გაუკის პრეზიდენტობისას, გერმანიის გაერთიანებიდან 21-ე წლისთავზე, ქვეყნის ორ მთავარ თანამდებობაზე აღმოსავლეთ გერმანელები იყვნენ. მოვლენათა ამგვარ განვითარებას, სახელმწიფო ტელევიზიამ „პოლიტიკური სასწაული" უწოდა.

Der Spiegel: გერმანიის პრეზიდენტი სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტს უცხადებს, http://www.tabula.ge/ge/story/77910.

იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ გერმანიის პრეზიდენტებს, თანამედროვე ქართული რეალობისაგან განსხვავებით, საკუთარი მოსაზრების საჯაროდ გამოხატვით თავისი წვლილი შეაქვთ პოლიტიკურ პროცესში, შეიძლება მოვიყვანოთ პრეზიდენტ იოახიმ გაუკის მიერ სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრებისგან თავშეკავება, რითიც მან თავისი პოლიტიკური პოზიცია დააფიქსირა. ასევე ამავე კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე მისი გამოსვლა, რომელშიც გაუკმა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი საყრდენი პრინციპის გადახედვის საკითხი წამოჭრა. პრეზიდენტი შეეხო სამხედრო ოპერაციებისა და უსაფრთხოების თემატიკასთან დაკავშირებით გერმანიის უკიდურესად ფრთხილ მიდგომას, რომელსაც ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გიდო ვესტერველე „სამხედრო თავშეკავებულობის კულტურას" უწოდებდა. მისი მთავარი გზავნილი გერმანული პოლიტიკური ელიტისადმი ის იყო, რომ დროა, გერმანია საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე ახალი, დამოუკიდებელი, ძლიერი

მოთამაშის როლში გამოვიდეს. იოახიმ გაუკის მიმართვა, რომელსაც ჭალლ შტრეეტ ჟოურნალმა „ადამიანი ობობას დოქტრინა" უწოდა,

გ. ნასრაშვილი. გერმანიის აღმოსავლეთ - ევროპული პოლიტიკა,

http://www.tabula.ge/ge/story/81146-germaniis-aghmosavlet-evropuli-politika

მოკლედ მართლაც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს – „დიდი ძალა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს". გერმანიის პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ მისმა ქვეყანამ მიიღო სარგებელი გლობალური ეკონომიკური სისტემიდან, ევროპული ინტეგრაციიდან, აშშ-ის უშიშროების ქოლგიდან და ახლა გერმანია მზად უნდა იყოს უშიშროების გარანტირებისთვის, რომლითაც ათწლეულობის განმავლობაში თავად სარგებლობდა. გერმანიის პრეზიდენტმა ისაუბრა უშიშროების საკითხებისადმი გერმანული საზოგადოების ტრადიციულ, ფრთხილ დამოკიდებულებაზეც და აღნიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გერმანული პაციფიზმი პასიურობის ფარად ან ქვეყნის მსოფლიო პროცესებიდან გამოთიშვისთვის არ უნდა იქნას გამოყენებული. ის რომ გერმანიის პრეზიდენტის სიტყვას წონა აქვს გერმანული საზოგადოებისათვის დასტურდება იმ ფაქტით, რომ მის სიტყვას უმალ მხარდამჭერი განცხადებები მოჰყვა მმართველი გუნდის წევრების მხრიდან და რეალურად დაიწყო საუბარი საერთაშორისო კრიზისებში მეტ ჩართულობასა და სამხედრო მისიების, მაგალითად, აფრიკაში საფრანგეთის მხარდასაჭერად გააქტიურებაზე, სამხედრო კონტინგენტის ზრდაზე, თუმცაღა საბრძოლო მისიების შესრულების მანდატის გარეშე. სწორედ გერმანიის პრეზიდენტის გზავნილსა და მის მიერ მიუნხენის უშიშროების კონფერენციაზე გამოთქმულ მოსაზრებებს მოჰყვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის - და ლორან ფაბიუსისა და გერმანიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრისა და დღევანდელი პრეზიდენტის ფრაკ-ვალტერ შტაინმაიერის 21 იანვრის ერთობლივი დეკლარაცია, სადაც ისინი თანხმდებიან ევროკავშირის სამიტებამდე ერთმანეთთან კონსულტაციის გავლაზე, ერთობლივი საგარეო ვიზიტების განხორციელებაზე, საერთაშორისო კრიზისების იდენტიფიცირებასა და პრევენციაზე ერთობლივ მუშაობაზე.

გერმანიის დღევანდელი პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი აქტიურ საგარეო

პოლიტიკას ასორციელებს. ექსვიცეკანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი შრიოდერის პოლიტიკის გამგრძელებლად მიიჩნევა. 2007 წელს მან განაცხადა, რომ მხარს არ უჭერს ევროკომისიის შეთავაზებას ენერგეტიკულ ქსელებზე საკუთრების უფლების დაყოფასთან დაკავშირებით. საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდში საქართველოს მეგობართა ჯგუფის ფარგლებში შტაინმაიერმა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სამეტაპიანი გეგმა წარადგინა. პირველი ეტაპი თბილისსა და სოხუმს შორის ნდობის გაზრდა იყო. მეორე ეტაპი ბერლინში დონორთა კონფერენციით აფხაზეთის ეკონომიკურ რეკონსტრუქციას ითვალისწინებდა. მესამე ეტაპი კი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განხილვა იყო. სამწუხაროდ, შტაინმაირის გეგმა აფხაზური მხარისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ამრიგად, პრეზიდენტი გერმანულ საპარლამენტო მოდელში ნიშნავს მმართველობას ავტორიტეტის ძალით და არა - ძალის ავტორიტეტით, ამიტომაც ვთვლით რომ განსხვავება ხელშესახები იქნება. კონკრეტულ სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს ამ ქვეყნის თავისებურებებს და ადგილობრივ გამოცდილებას, უნდა პასუხობდეს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებას. რომელიმე პოლიტიკური მოდელის, თუნდაც ძალზე წარმატებულის, კოპირება კონკრეტული ქვეყნის განვითარების პოლიტიკური, ისტორიული და ეკონომიკური კონტექსტისა და ვთავისებურებების გაუთვალისწინებლად არარელევანტურ შედეგებზე შეიძლება გაგვიყვანოს. გერმანული საპრეზიდენტო ინსტიტუტისა და დემოკრატიის ფუნქციონირების ხანგრძლივი ტრადიციისაგან განსხვავებით, საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის, მათდამი ნაკლები პოლიტიკური ნდობის არსებობის, გათვალისწინებით, ვთვლით, რომ არ არის სასურველი გერმანული მოდელის პირდაპირი კოპირება და პირდაპირი დემოკრატიის შესუსტება. მითუფრო, რომ საპარლამენტო მმართველობის ფორმატში არსებობს საერთაშორისო გამოცდილება - სხვადასხვა ვარიაციები პრეზიდენტის უფლებამოსილების საზღვრებთან დაკავშირებით, რასაც თავის მხრივ განსაზღვრავს პრეზიდენტთა არჩევის წესი.

დასკვნა:

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ჩვენთვის საინტერესო თემატიკისადმი მიძღვნილი პუბლიკაციისა და შრომების ანალიზის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები:

საქართველოს პრეზიდენტებმა ტრანსფორმირებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სირთულეებისა და პრობლემების მიუხედავად, მაინც შეძლეს მეტ-ნაკლებად შემდგარი კონკრეტული სისტემის - მისი ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების, ადამიანური და სოციალური კაპიტალის - შექმნა:

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ შეძლო ახალი ტიპის პოლიტიკური სისტემების, კერძოდ, მრავალპარტიული სისტმის, თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობისა და თავისუფალი მედიის საფუძვლების შექმნა და ამ ახალი ელემენტების შემოტანით პოლიტიკურ სისტემაში შეძლო ქართული პოლიტიკური კულტურის შეცვლა.

საქართველოს მეორე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მმართველობის სისტემის ფუნქციონირების კუთხით შეძლო ისეთი ახალი ტიპის სისტემების წარმოქმნა, როგორებიც იყო: სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სამოქალაქო ინსტიტუტების ჩამოყალიბება; დამოუკიდებელი საფინანსო - ფულადი პოლიტიკა და დამოუკიდებელი მეწარმეობა.

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური სისტემების შექმნის რაოდენობრივი მაჩვენებლებით, ჩვენი აზრით, აშკარად ლიდერობს მის წინამორბედებთან შედარებით: მან შექმნა 2003-2006 წლებში იმდენი ახალი სისტემა, რამდენიც მისმა წინამორბედებმა თავ-თავისი მმართველობის პერიოდში და შეძლო სახელმწიფოს რეალური ფუნქციობის რეჟიმში გადაყვანა. კერძოდ, სააკაშვილმა შექმნა: თვითმმართველობის სისტემა; დამოუკიდებელი სამხედრო ძალების სისტემა და განათლების დამოუკიდებელი სისტემა.

საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ არაფორმალური მმართველობის პირობებში მოახერხა პოლიტიკური სისტემისათვის დემოკრატიული შეფერილობის მიცემა კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე საპარლამენტო მოწყობაზე გადასვლის გზით. ასე, რომ ზვიად გამსახურდიამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას ჩაუყარა საფუძველი,

ედუარდ შევარდაძემ - ინსტიტუციური დიზაინერის როლი შეასრულა, მიხეილ სააკაშვილმა - სახელმწიფოებრიობა სისტემაში მოიყვანა და ფუნქციურად გამართა, დღევანდელმა ხელისუფლებამ პოლიტიკურ სისტემას დემოკრატიული შეფერილობა მისცა კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე საპარლამენტო მოწყობაზე გადასვლის გზით, მაგრამ როგორც კი პრეზიდენტები იწყებდნენ მათ მიერ დანერგილი სისტემების დამშლელ აქტივობებს, ხდებოდა სისტემურ დონეზე ძლიერი მოწინააღმდეგის გაჩენა, მმართველობას უპირისპირდებოდა ის მხარე, რომლებიც მონაწილეობდა კონკრეტული სისტემის შექმნაში, რასაც მმართველობების იძულებით დასრულება მისდევდა - პირველ ორ შემთხვევაში გადატრიალებისა და რევოლუციის გზით, ხოლო მესამე შემთხვევაში - საპარლამენტო გზით.

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად საქართველოში დამკვიდრდა მმართველობის საპარლამენტო მოდელი, შეიზღუდა პრეზიდენტის უფლებები და ანალოგი გახდა გერმანიის საპრეზიდენტო ინსტიტუტის გამოცდილება. გერმანიისა და საქართველოს პრეზიდენტთა ფუნქციებისა და უფლებამოსილებების მსგავსებისა და განსხვავებების პოლიტოლოგიური ანალიზი ცხადყოფს მათ განსხვავებულ როლსა და გავლენას საგარეო პოლიტიკურ პროცესებზე მსგავსი შეზღუდული და ფორმალური ფუნქციების ქონის შემთვევაში. ჩვენი რეალობისაგან განსხვავებით, გერმანიის პრეზიდენტს საზოგადოებრივი პროცესების გააქტიურებისა და საჯარო სივრცეში ღია დისკუსიის წამოწყების გზით საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, რადგან გერმანელები პატივს სცემენ პრეზიდენტის ინსტიტუტს და ამავე დროს ფხიზლად აკონტროლებენ მას. საქართველოში თანამედროვე პოლიტიკური მოცემულობის შემთხვევაში კი, პოსტსაბჭოთა პრაქტიკის გავლენისა და, შესაბამისად, დაბალი დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის, დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის, მათდამი ნაკლები პოლიტიკური ნდობის არსებობისა და სახელისუფლო პარტიის სიძლიერის არსებობის შემთხვევაში, ჩვენი აზრით, არ არის სასურველი გერმანიის საპრეზიდენტო მოდელის პირდაპირი კოპირება და დემოკრატიის შესუსტება. ამ მხრივ

სასურველად მიგვაჩნია ევროკავშირის რიგი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება საპარლამენტო ფორმატში პრეზიდენტის საყოველთაო წესით არჩევის თაობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. კველესავა ი., გახოკიძე ჯ., გვენეტაძე ე., საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის, მმართველობის და თვითმართველობის ასპექტები (ისტორიულ, პოლიტიკური და სამართლებრივი ანალიზი), თბილისი ,2018.
2. კუპრაშვილი ჰ., ევროპის პოლიტიკური მმართველობის სისტემა, თბილისი 2017.
3. ლობჟანიძე დ, საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაცია,
4. აღმ.-დას. ურთ. კვლევისსაერთ. ცენტრი, საქ. მეცნ. აკად. პოლიტოლოგიის ინსტიტუტიტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, საქართველოსფედერალიზაციისპერსპექტივები: Pro et Contra : რედ.: ვ. კეშელავა, ვ. ლორთქიფანიძე. თბილისი,1999.
5. 1. რ. გაჩეჩილაძე, ჩემი მეოცე საუკუნე, ტ. 2, 2011;
6. 3. რ. გაჩეჩილაძე, საქართველომსოფლიოკონტექსტში. XX და XXI საუკუნის პოლიტიკური კულტურის ძირითადი მომენტები, თბ. 2013;
7. ი. კვესელავა. საქართველოსისტორიისქრონიკები, II., ზვიადგამსახურდია - დისიდენტი პრეზიდენტი მოწამე, თბ., 2008;
8. . ე. შევარდნაძე, ფიქრი წარსულსა და მომავალზე, მემუარები, თბილისი, 2006;
9. სტივენ ჯონსი, საქართველო - პოლიტიკური ისტორია და მოულიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ. 2013;
10. რ. გაჩეჩილაძე, საქართველომსოფლიოკონტექსტში. XX და XXI საუკუნისპოლიტიკურიკულტურისძირითადიმომენტები, თბ. 2013;
11. მ. მაცაბერიძე, ბიზნესი და პოლიტიკა საქართველოში, თბ. 2006;
12. ს. ლიპსეტი “კანონიერება და ეფექტურობა”, პოლიტოლოგიი სსაკითხები, N 2, თბ. 1992;

13. მ. მაცაბერიძე, პოლიტიკურიპროცესებისაქართველოში, თბ. 2007
14. ქ.ჯიჯეიშვილი, შტრიხები საქართველოს პრეზიდენტთა პოლიტიკური პორტრეტისათვის, თბ. 2009;
15. ზ. გამსახურდია, საქართველოსსულიერიმისია, თბ., 1991;
16. ზბ. ბჟეზინსკი, დიდიცვლილებები. ჟურნ. «საზოგადოებადაპოლიტიკა», თბ., 1996;
17. თომასმადშტადტი, გავიგოთპოლიტიკა, თბ., 2010;
18. დ. კასტილიონე, რესპუბლიკანიზმი და მისი მემკვიდრეობა, პოლიტიკური თეორიის ევროპული ჟურნალი; თბ. 2005;
19. 17. ევროპული დემოკრატიები; ჯან-მიშელ დე ვაელისა და პოლმანიეტის რედაქტორობით; თბ. 2013;
20. მ. მაცაბერიძე, არჩევნებიდასაზოგადოება, თბ. 2003;
21. ვ. ბაბეკი; კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995); 2002;
22. ჟურნ. ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, №1(8), 2006. წინასწარი შენიშვნები საქართველოს სამი პრეზიდენტის პორტრეტისათვის;
23. ჟურნ. „ბიზნესი, მენეჯმენტი" #4 (16), 2007/2008;
24. ზბ. ბჟეზინსკი, კვირის პალიტრა, 1999, 20-26 სექტემბერი;
25. ჟურნ. „საზოგადოება და პოლიტიკა", II, თბ., 2002;
26. ჟურნ. ლიბერალი, №151, 2014;
27. გ. ჟორჟოლიანი, თ. ბერიკაშვილი, გ. მუსხელიშვილი, დემოკრატი¬ზაცია, თბ., 2001;
28. ნ. რურუა. თავისუფლების კანონი, თბ., 2003;

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Bulmer E., Federalism International IDEA Constitution-Building Primer 12, 2017, 21.
2. ataveljić Dragan., Federalism: The Concept, Development and Future, 2012.

ელექტრონული წყაროები:

1. XX საუკუნის კონფლიქტები, 2011 იხ. http://humansgeography.blogspot.com
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი 2019, 1 იანვარი, იხ. www.geostat.ge

3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, იხ. http://www.mfa.gov.ge/
4. საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული ასოციაცია, სახელმწიფო, თბილისი, 2010.
5. A history of Federalism in United State, 2018 იხ. https://brewminate.com/
6. The peace plans: Annan plan, 2016, იხ. www.cyprus-mail.com
7. Federalism in Germany, German Culture, 2019 იხ. www.germanculture.com.ua
8. Mexico population 2019, World population reviw, იხ. http://worldpopulationreview.com
9. Argentina population live,worldometers, იხ., http://www.worldometers.info